ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!
ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 28 (1401) | 28 დეკემბერი, 1994 წელი

პარლამენტი

## თამაში გაურკვეველი შედეგით

**საპასუხისმგებლო საფეხბურთო მატჩის შესახებ მასალის მომზადებისას სპორტული ჟურნალისტები ხანდახან მიმართავენ ასეთ სქემას: „თამაშის წინ — თამაში — თამაშის შემდეგ“. ექსპერიმენტის სახით ჩვენმა საპარლამენტო კორესპონდენტებმა ამავე სქემის მიხედვით შეადგინეს პარლამენტის ბოლო სხდომის ანგარიშიც, რომელიც, რეგლამენტის მიხედვით, უკანასკნელი უნდა ყოფილიყო მიმდინარე წელს. მაშ ასე:**

### თამაშის წინ

23 დეკემბრისათვის დანიშნული იყო საქართველოს პარლამენტის დახურული სხდომა, რომელზეც უნდა მოესმინათ თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურორისა და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელთა ანგარიში. ქვეყანაში გამეფებული მძიმე კრიმინოგენური ვითარება, მაფიურ კლანთა დაუსჯელი თარეში, გაუხსნელ ტერორისტულ აქტთა სერია, რომელსაც შეეწირა მაღალი თანამდებობის რამდენიმე პირი, ყოველივე ეს მოითხოვდა პასუხს — შესწევთ თუ არა უნარი ჩვენს ძალისმიერ სტრუქტურებს იბრძოლონ წესრიგის დასამყარებლად. დამატებით ინტრიგას სხდომას ჰმატებდა მკვეთრი დაპირისპირება ედპ-სა და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს შორის, რომელმაც გიორგი ჭანტურიას მკვლელობის შემდეგ შეურიგებელი ხასიათი მიიღო. ედპ-ს მოთხოვნას იგორ გიორგაძის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე მხარი დაუჭირა რამდენიმე გავლენიანმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, მათ შორის რესპუბლიკურმა პარტიამაც. მათ ერთობლივ განცხადებაში იყო მოთხოვნა თავდაცვის მინისტრის — გენერალ ვარდიკოს (ნადიბაიძის) თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებაც,ვინაიდან ქართული ჯარის ჩამოყალიბების პროცესი, ზემოხსენებულ პარტიათა აზრით, ვერანაირად ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ჩვენს ქვეყანას უყენებენ დრო და ვითარება. იყო კიდევ რამდენიმე გარემოება, როგორიცაა, მაგალითად, გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის სპეციფიკური დამოკიდებულება პარლამენტარების ირაკლი წერეთლის და თემურ ჟორჟოლიანის მიმართ; არც პოლიციის მუშაობის საკითხზე იყო დეპუტატთა აზრი ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური. მოკლედ, სხდომა ბევრს რამე საინტერესოს გვპირდებოდა.

### პირველი ტაიმი

იგი დაიწყო სპიკერის საკმაოდ გრძელი გამოსვლით. ამ გამოსვლის დედაარსი დამსწრეთათვის საბოლოოდ გასაგები გახდა მხოლოდ მაშინ, როცა ბ-ნმა ვახტანგმა ააფრიალა რაღაც ქაღალდი, შემდეგ კი გააცნო დეპუტატებს ამ „დოკუმენტის“ შინაარსი. თურმე, ძალოვან უწყებათა ხელმძღვანელებს მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან შეუტყვიათ 23 დეკემბრის სხდომის ამბავი, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნიათ მასში მონაწილეობა შემდეგი მიზეზების გამო:

ა) არ იმყოფება თბილისში შს მინისტრი შ.კვირაია

ბ) გადაუდებელი გეგმიური ღონისძიება აქვს ვ.ნადიბაიძეს

გ) საანგარიშო მასალები არ ყოფილა წარმოდგენილი გენერალურ პროკურორთან.

დასასრულ ძალოვან სტრუქტურათა ხელმძღვანელები სთავაზობდნენ პარლამენტარებს წინასწარ წერილობითი სახით წარმოედგინათ მათი შეკითხვები, რათა უკეთ მომზადების შესაძლებლობა ჰქონოდათ.

დასასრული მე-8 გვ.

## ჩეჩნეთში სისხლისმღვრელი კონფლიქტის ესკალაციასთან დაკავშირებით საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია აცხადებს:

შეინიშნება სხვადასხვა პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ძალთა მიერ ჩეჩნეთისა და აფხაზეთის კონფლიქტთა ერთ სიბრტყეში, მსგავსი წარმომავლობის კონფლიქტებად განხილვა. ასეთი მიდგომა პრინციპულად მიუღებელია და სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. აფხაზეთი — ერთიანი ქართული სახელმწიფოს ისტორიულად, პოლიტიკურად და სამართლებრივად განუყოფელი ნაწილია, რომელიც ოდითგანვე დასახლებული იყო ქართველებითა და აფხაზებით. მას არ გააჩნია დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად არსებობის ტრადიცია და არც აქვს ამისათვის აუცილებელი წინაპირობები. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩეჩნეთის ძალადობრივი შეყვანა კი მოხდა მხოლოდ გასული საუკუნის შუა პერიოდში და დღეს იგი მხოლოდ დაპყრობის შედეგად განიხილება რუსეთის ფედერაციის შემადგენელ ნაწილად.

აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში მისი უშუალო წამომწყებნი იყვნენ იმპერიალისტური ძალებით ზურგმომაგრებული აფხაზი სეპარატისტები, ხოლო სისხლისღვრა ჩეჩნეთში დაიწყო რუსეთის ცენტრალურმა (ფედერალურმა) ხელისუფლებამ. ცხადია, არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს გამართლებული რაიმე არგუმენტითა თუ მოსაზრებით უდანაშაულო ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, ეთნიკური წმენდისა და გენოციდის გამოვლინებები, სადავო საკითხების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის მცდელობა.

ამასთან დაკავშირებით გაუგებრობასა და გულისწყრომას იწვევს ის ფაქტი, როცა ერთი და იგივე სახელმწიფო ორმაგი მორალით ხელმძღვანელობს პრობლემის გადაწყვეტისას მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე (რუსეთი — საქართველოში, კერძოდ — აფხაზეთში) და თავის ტერიტორიაზე (რუსეთი — ჩეჩნეთი). პირველ შემთხვევაში ეს გამოიხატება სეპარატისტთა დაუფარავ პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერაში, ხოლო მეორეში — მასშტაბურ სადამსჯელო-სამხედრო ოპერაციაში როცა იბომბება დასახლებული პუნქტები, იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა, იხვრიტებიან ლტოლვილები. ჯამში ეს ორი მიდგომა ილუსტრაციაა იმპერიალისტური აზროვნების რეციდივისა, პოსტსაბჭოთა სივრცეზე ჰეგემონის როლისა და ფუნქციის შენარჩუნების მცდელობისა.

საქართველოსათვის სულ ერთი არ არის, თუ რა ხდება მის ჩრდილოეთ საზღვარზე. მას აქვს თავისი ინტერესები ჩრდილო კავკასიაში და ეს ინტერესები პირველ რიგში მდგომარეობს ამ რეგიონის სტაბილურობაში, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ტრადიციულად კეთილმეზობლურ, ურთიერთმომგებიან ეკონომიკურ, კულტურულ, თუ სხვა კონტაქტებში.

ამიტომ მოვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისაგან სრულ გარანტიას, რომ საქართველოს ტერიტორია არავითარ შემთხვევაში არანაირი ფორმით არ იქნას გამოყენებული იმ ძალების მიერ, რომლებიც ჩეჩნეთში მიმდინარე კონფლიქტში არიან ჩაბმულნი. ზუსტად ასევე დაუშვებლად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მიერ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის გამოყენება, რასაც ადგილი აქვს აფხაზეთის კონფლიქტის მსვლელობაში.

ვუერთებთ ჩვენს ხმას მსოფლიო დემოკრატიული ძალების მოთხოვნას, რათა შეწყდეს სისხლისღვრა ჩეჩნეთში და ვითარება დარეგულირდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვის აუცილებლობასთან შესაბამისობაში.

გაერთიანებული
რესპუბლიკური პარტია
თბილისი
1994წ. 22 დეკემბერი

## ჯერ გადავხტეთ და ჰოპლა შემდეგ დავიძახოთ

**სახელმწიფო** მმართველობის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები ტელეეკრანიდან აცხადებენ, რომ ამ დღეებში შევალთ აფხაზეთში.. კერძოდ, მსგავსი განცხადება მოვისმინეთ ვიცე-პრემიერ თამაზ ნადარეიშვილისგან.

როგორც იტყვიან, მის პირს შაქარი, მაგრამ, არის ერთი მაგრამ....

თქვე დალოცვილებო, ჩხუბამდე ხელების ქნევას როდის დაანებებთ თავს?

რა არის ეს? მტრის შეგნებული გაფრთხილება თუ იდიოტიზმი?

## უსაფუძვლო შენიშვნას ვერ მივიღებთ

გაზეთ „ივერია-ექსპრესის“ 24-27 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა რეპლიკა „წერეთელმა დაგვიბარა და...“, სადაც გამოთქმულია საყვედური 21 დეკემბერს 19 სთ-ზე გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ოფისში (ყოფილი სახალხო ფრონტის ოფისი) დანიშნული პარტიების შეხვედრის ორგანიზატორთა მისამართით.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრეს-სამსახურს თავის მოვალეობად მიაჩნია აღნიშნოს, რომ ზემოთ დასახელებული შეხვედრის არც ხასიათი, არც ფორმა, დრო და ადგილი გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობასთან არ შეთანხმებულა. ამდენად, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ვერ აიღებს პასუხისგებლობას იმ უხერხულობისათვის, ჟურნალისტებს რომ შეექმნათ.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრეს-სამსახური სარგებლობს შემთხვევით და კიდევ ერთხელ უდასტურებს ჟურნალიტებს თავის პატივისცემასა და კეთილ სურვილებს.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრეს-სამსახური

24 დეკემბერი, 1994 წელი.

## სარკე რუსეთის «დემოკრატიისა»

# რუსეთის საგარეო პოლიტიკა: სამი წლის კატასტროფული შედეგები

### დროა გაკეთდეს პაუზა, შეიცვალოს პოლიტიკაც და მინისტრიც

### ალტერნატივა

**ანდრანიკ მიგრანიანი** — საპრეზიდენტო საბჭოს წევრი, ფონდ „რეფორმის“ მრჩეველი, რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის მთავარი ექსპერტი.

## როგორ ვაწარმოებთ საგარეო პოლიტიკას

**თუ** შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არსი, შეიძლება მისი დაყვანა ოთხ კატეგორიამდე: მოუსვენრობა, იმპროვიზაცია, არაკომპეტენტურობა და ყოველივე ამის შედეგად უთავბოლო ბორიალი.

ყველაზე ცინცხალი მაგალითი ნატოსთან რუსეთის ურთიერთობათა კომპლექსია, სადაც როგორც წყლის წვეთში გამჟღავნდა ყველა ჩამოთვლილი ნიშანი რუსეთის საგარეო პოლიტიკისა, რამაც ჩვენი დიპლომატია ამ მიმართულებით ტოტალურ მარცხამდე მიიყვანა. თავდაპირველად მწვანე სინათლე ავუნთეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შესვლას ნატოში, დადებითად შევაფასეთ პოლონეთის განზრახვა ჩრდილოატლანტიკის ხელშეკრულებაში გაერთიანებისა. შემდეგ წერილები გავუგზავნეთ ჩვენს დასავლეთელ პარტნიორებს და კატეგორიულად წინ აღვუდექით ამ ბლოკის შემადგენლობაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩართვას (ამასთან დაგვავიწყდა წერილის გაგზავნა პოლონეთში, რომელშიც ავხსნიდით საკუთარი პირობის დარღვევის მიზეზებს, რუსეთის პრეზიდენტის ვარშავაში ვიზიტის დროს რომ აღითქვა). შემდეგ დავთანხმდით ნატო-ს წევრ-ქვეყნებს შეგვექმნა პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთისათვის, როგორც კომპრომისული ვარიანტი ნატო-ს სწრაფი გაფართოების გეგმების საპირისპიროდ. ჩემი გაფრთხილებების მიუხედავად, რომლებიც გამოითქვა როგორც პრესაში („დამოუკიდებელი გაზეთი“, მარტი 1994 წ), ასევე ორ სათათბირო სხდომაზე, რომ რუსეთის თანხმობა ამ პროგრამაში გაერთიანებაზე მწვანე სინათლეს აუნთებს ნატო-ს გაფართოებას და ამ ორგანიზაციის გადაქცევას ერთიან უნივერსალურ სტრუქტურად ევროპის უსაფრთხოებაში რუსეთის სრულუფლებიანი მონაწილეობის გარეშე, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო და მინისტრი კოზირევი სამინისტროსთან დასაქმებულ ექსპერტებთან ერთად ამტკიცებდა, რომ ეს არის ერთადერთი გზა არ დაუშვათ, ერთის მხრივ, ნატო-ს გაფართოება, მეორეს მხრივ ავიცილოთ რუსეთის იზოლაცია. არ გასულა რამდენიმე თვეც, რაც რუსეთი შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობის სახელით“, რომ ყველაფერი სწორედ ისე ხდება, როგორც მე ვფიქრობდი. ჯერ ამერიკის კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება ნატო-ს გაფართოების თაობაზე, შემდეგ ნოემბერში, ვაშინგტონში ჩრდილოატლანტიკურმა ასამბლეამ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება. ამით მან ხაზი გადაუსვა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ილუზორულ იმედებს გადაექციათ ეს ორგანიზაცია ევროპის უსაფრთხოების ბირთვად. თუმცა 1993 წლის ბოლოსათვის სკოლის მოსწავლისთვისაც კი ნათელი გახდა, რომ ეს ჩანაფიქრი განწირული იყო. აპოთეოზად იქცა ნატო-ს საბჭოს სესიის გადაწყვეტილება შეიქმნას მუშა ჯგუფები, რათა განხორციელდეს ბლოკის გაფართოების პრაქტიკული პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხარჯზე. რუსული დიპლომატიის თავბრუდამხვევი მარცხი კიდევ უფრო რელიეფური გახდა 1 დეკემბერს ბრიუსელში, რადგანაც გადაწყვეტილება ნატო-ს გაფართოების შესახებ მიიღეს ბუდაპეშტში სახელმწიფოს მეთაურთა და ევროთათბირის წევრ-ქვეყნების მთავრობათა შეხვედრის წინადღეს, სადაც რუსეთი აპირებდა გაეტანა ახალი კონცეფციის მიღება ევროპის უსაფრთხოების თაობაზე ევროთათბირის ევროპული უსაფრთხოების ეფექტურ სტრუქტურად გადაქცევის გზით, რომელიც ფლობს აუცილებელ საშუალებებსა და უფლებამოსილებებს. კოზირევის საქციელი ბრიუსელში ამტკიცებს მოსაზრებას, რომ უზარმაზარი ბირთვული სახელმწიფოს მინისტრი, ჩანს, რაღაც გაუგებრობის გამო დაკავებული საგარეო პოლიტიკით. კოზირევის უარი ხელი მოაწეროს რუსეთის მიერ მომზადებულ პროგრამას რუსეთის ნატო-სთან თანამშრომლობის შესახებ პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობის სახელით“ ჩარჩოებში მოტივირებული იმით, რომ ნატო-ს ქვეყნებმა ფაქტიურად მოატყუეს რუსეთი, იწვევს მთელ რიგ კანონიერ და გაუგებარ კითხვებს. რისთვის გაემგზავრა კოზირევი ბრიუსელში? ნუთუ მან არ იცოდა, რომ სწორედ ამ დროს მიიღებდნენ გადაწყვეტილებას ნატოს გაფართოების თაობაზე?

თუ ეს არ იცოდა, რისთვის ვინახავთ ამ ვეებერთელა საგარეო საქმეთა სამინისტროს, აწარმოებს თუ არა რუსეთი საერთოდ მოლაპარაკების პროცესს ნატო-სთან და ვის მიჰყავს ეს მოსალაპარაკებელი პროცესი? თუ ჩვენმა დასავლეთელმა პარტნიორებმა მოატყუეს რუსეთი, რა მიზნით და რატომ მაინცდამაინც ბუდაპეშტის შეხვედრის წინ? თუ მან მაინც იცოდა ნატო-ს საბჭოს შესაძლო გადაწყვეტილების შესახებ, მაშ რისთვის იყო საჭირო კოზირევის დემარში? კოზირევის პოლიტიკის კრიტიკოსები ხომ კარგა ხანია გვაფრთხილებენ, რომ ფორმულის 16+1 ჩარჩოებში რუსეთი ვერ მიიღებს ვერავითარ შესაძლებლობას ნატოს გაფართოების პროცესის დასაბლოკირებლად. შესაძლო იყო დაგვეშვა, რომ ნატო-სთან თანამშრომლობის შეთანხმების ხელისმოწერაზე უარით კოზირევი გამოიწვევდა გარკვეულ პაუზას, მაგრამ ბოდიში. რუსეთის მინისტრი ულალატებდა თავის ბუნებასა და თავის პოლიტიკის ძირითად თვისებას, თუკი იქვე ჩიხში არ შეიყვანდა საკუთარ დემარშს, განაცხადა რა, რომ რუსეთი ურთულეს პირობებში უარს არ ამბობს პროგრამაზე „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მხოლოდ დროებით გადაავადებს თანამშრომლობის პროგრამაზე ხელმოწერას.

მეორე თვალსაჩინო მაგალითი ამაო ფუსფუსისა და იმპროვიზაციისა ერაყთან ურთიერთობით იქნა დემონსტრირებული. გასულ წელს, როცა ბაღდადმა ამერიკული რაკეტების დარტყმა განიცადა ქუვეიტში აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტ ჯ. ბუშზე მარცხიანი თავდასხმის გამო, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წინ გაუსწრო რა აშშ-ს მოკავშირეებს ნატო-ს მხრიდან, მხარი დაუჭირა ვაშინგტონის ამ მეტად საეჭვო დამსჯელ აქციას, მაშინ სმოლენსკის მოედანზე არ ფიქრობდნენ, რომ სსრკ-ს ერაყთან მეტად ხანგრძლივი და სერიოზული ურთიერთობა ჰქონდა და რომ ეს ქვეყანა — რუსეთის მსხვილი მოვალე და რუსეთის იარაღის გასაღების პოტენციური ბაზარია. ეს ამბავი კოზირევს რატომღაც აშშ-ში ვიზიტისა და შემდგომ ორგანოებში შეხვედრების შემდეგ გაახსენდა, როცა ამერიკის ადმინისტრაცია რუსეთის ზოგიერთი მოთხოვნის გათვალისწინებას დაგვპირდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში. მაგრამ სწორედ ვაშინგტონის თვითნებობის შემდეგ ამერიკის ადმინისტრაციას სჭირდებოდა გარკვეული საგარეოპოლიტიკური წარმატებები, ნაწილობრივ — ერაყთან დამოკიდებულებაშიც, რათა ამომრჩევლები მიეზიდა დემოკრატიული პარტიის მხარეს აშშ-ს კონგრესის შუალედურ არჩევნებში. და სწორედ ამას დაემთხვა კოზირევული დიპლომატიის პიკი ერაყთან მიმართებაში. გაიხსენეს, რომ რუსეთს უნდა ჰქონდეს თავისი პოლიტიკა, რაც ყოველთვის არ დაემთხვევა აშშ-ს პოლიტიკას, რომ უნდა მოიხსნას სანქციები ერაყზე, რათა დავიბრუნოთ სადამ ჰუსეინისგან რუსეთის მილიარდობით დოლარი. ერაყ-ამერიკული მიმართულებით კოზირევული იმპროვიზაციის შედეგად მივიღეთ მსგავსი პოლიტიკისთვის ჩვეული რეზულტატი: სანქციები არ მოიხსნა, აშშ-ში დემოკრატებმა მარცხი განიცადეს, მკვეთრად შესუსტდა აშშ-ში იმათი პოზიცია, ვინც თვლიდა, რომ დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობაში პოლიტიკა რუსეთს უნდა დაეყრდნოს; ერაყის მიერ ვალის განაღდება ძველებურად საეჭვოა, სამაგიეროდ სავსებით დამაჯერებელია აშშ-ს ადმინისტრაციის მხრიდან აქციის გაგრძელება, ბოსნიაში მუსულმანებისთვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს მოხსნის მსგავსი, დსთ-ში ინტეგრაციული პროცესების ალსაკვეთი ქმედებების აქტივიზაცია და ა.შ.

არ შემიძლია გვერდი ავუარო ჩვენი დიპლომატიის უკიდურესი არაკომპეტენტურობის გამამჟღავნებელ თუნდაც ორ ფაქტს.

პირველი შემთხვევა პირდაპირ ანეკდოტურია, რუსეთის წარმომადგენელმა ხმა მისცა უშიშროების საბჭოში გაეროს გენერალური მდივნისთვის მანდატის მინიჭებას ნატო-ს ძალთა გამოსაყენებლად ბოსნიაში დასავლეთის ქვეყნებთან ერთად, მაგრამ როდესაც ნატო-ს ავიაცია ბომბავდა სერბების პოზიციას ბოსნიაში ამ საკითხის ყოველგვარი წინასწარი განსჯის გარეშე რუსეთთან, რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთის წარმომადგენელმა ხმა მისცა გენერალური მდივნის არა ასეთ მანდატს, და რომ რუსეთის ვარაუდით საჭირო იქნებოდა კიდევ ერთი განხილვა და კენჭისყრა, სანამ ნატო-ს ავიაციას გამოიყენებდნენ ბოსნიაში.

მეორე ფაქტიც ჩვენი დიპლომატების უკიდურეს არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს. ნატო-ს მიერ პირველი გამანადგურებელი დარტყმის შემდეგ სერბების პოზიციაზე ცხადი გახდა, რომ ნატო უკვე მართლაც ევროპული უშიშროების უნივერსალურ სტრუქტურად იქცა რუსეთის მონაწილეობის გარეშე და ხშირად რუსეთის მოსაზრების გათვალისწინების გარეშეც. ლოგიკური იქნებოდა გვევარაუდა, რომ რუსეთის დიპლომატებს შემდეგი ნაბიჯით უნდა გამოესწორებინათ შეცდომა, რომელიც ჩაიდინეს, ხელი შეუწყვეს რა ნატო-ს გადაქცევას გაეროს საომარი პოლიტიკის ინსტრუმენტად ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხელში. თუმცა ამ ბლოკის მოქმედებათა ზონის შეზღუდვის რიტორიკას მოყვა კენჭისყრა უშიშროების საბჭოში ნატო-ს მოქმედებათა ზონის გაფართოების სასარგებლოდ ამჟამად უკვე სერბთა წინააღმდეგ ხორვატიაში.

რამოდენიმე თვალსაჩინო მაგალითი ამაო ფუსფუსისა, წრიალისა და იმპროვიზაციისა შეიძლება მოვიყვანოთ რუსეთის ახლო საზღვარგარეთთან ურთიერთობის სფეროდანაც, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და რუსეთის ხელმძღვანელობის ერთსულოვანი მტკიცების თანახმად, მთავარი პრიორიტეტია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. ჩვენმა დიპლომატიამ საბოლოოდ დააბნია ყველა თავისი მოქმედებით ბელორუსიასთან მიმართებაში. ხან ვაერთიანებთ ფულად სისტემებს, ხან ვაცალკევებთ: ხან ვაერთიანებთ ამ ორ სახელმწიფოს საერთოდ, ხან ვითხოვთ ბელორუსებისაგან რადიკალურ რეფორმებს მანამდე, სანამ სერიოზულად დავიწყებთ საუბარს ინტეგრაციის ფორმებზე. მორალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, გეოსტრატეგიული ზარალი მსგავსი პოლიტიკისა ძნელია შეაფასო.

კიდევ უფრო თვალსაჩინოა საგარეო პოლიტიკის ჩავარდნა უკრაინის მიმართულებით. იყო რა ნომერ პირველი პრიორიტეტი რუსეთისა, იგი ითხოვდა თავისთვის საუკეთესო ხვედრს, ვიდრე ის პოლიტიკა, რომელიც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ამ ქვეყნის მიმართ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და, უფრო ფართოდ რუსეთის ხელისუფლება მოუმზადებელი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყირიმში, მოსკოვთან გაერთიანების ლოზუნგის ქვეშ შეიძლება გაიმარჯვოს ბლოკმა „რუსეთი“ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში და იური მეშკოვმა საპრეზიდენტო არჩევნებში. ერთადერთი სტრატეგია, რაც დარჩენია რუსეთის დიპლომატიას ისეთი მტკივნეული პრობლემის წინაშე, როგორიცაა რუსეთ-უკრაინის დამოკიდებულება, — ესაა პრობლემის იგნორირების სტრატეგია. ამასწინათ, საპარლამენტო განხილვებზე სახელმწიფო სათათბიროში რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის თაობაზე, რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეს იგნორირების სტრატეგია მეტად დიპლომატიურად [illegible]ლირა. ამ მაღალხელისუფალი დიპლომატის თანახმად, ყირიმი, სამწუხაროდ, გამაღიზიანებელი ფაქტორია რუსეთ-უკრაინის ურთიერთობაში და ცუდი არ იქნებოდა როგორმე დავეღწია თავი ამ აბეზარი ყირიმელებისთვის, რომლებიც გადაჰკიდებიან რუსეთს გაერთიანების თხოვნით. კიდევ უფრო მოუმზადებელი გამოდგა რუსეთის დიპლომატია ლეონიდ კუჩმას გამარჯვების მიმართ საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის, დსთ-ს სტრუქტურის გამყარებისა და ამ ორგანიზაციასთან უკრაინის კავშირის, რუსული ენისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების, ყირიმთან სახელშეკრულებო ურთიერთობათა დამყარების და ა.შ. ლოზუნგებით ჩატარდა.

როგორი იყო რუსეთის რეაქცია ამაზე? მიხვდით კიდეც — არანაირი. მომზადებული ხელშეკრულება უკრაინასთან კრავჩუკის ეპოქის დროისა რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩათვალა მზად ხელმოწერისათვის და არც კი უცდია თავად გარკვეულიყვნენ და შეეთავაზებინა უკრაინელი პარტნიორებისათვის ერთად განესაზღვრათ ცნება „სტრატეგიული პარტნიორობა“ და ამით გაემყარებინა ხელშეკრულება. უკრაინის პრეზიდენტი და დეპუტატთა უმეტესობა ხომ ხელისუფლებაში მოვიდნენ იმ პროგრამით, რომ საკუთარ ხალხს აღუთქვეს უფრო მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთთან. გასაოცარია ის ფაქტი, რომ რუსი დიპლომატები, რომლებიც აწარმოებენ საქმეს უკრაინასთან, თვით იძლევიან სტრატეგიული პარტნიორობის უკიდურესად ვიწრო ტრაქტირებას, მიჰყავთ რა იგი მხოლოდ ეკონომიკურ თანამშრომლობამდე, რასაც შეიძლება ეწოდოს ყველაფერი, გარდა სტრატეგიული პარტნიორობისა.

ამაო ფუსფუსის, წრიალის, იმპროვიზაციის, არაკომპეტენტურობის მაგალითები შეიძლება გამრავლდეს, მაგრამ ვფიქრობ, ზემოთ თქმულიც საკმარისია დასკვნების გასაკეთებლად.

## რა გამოვიდა აქედან

**დამოუკიდებელი** საგარეო პოლიტიკისთვის სამი წელი საკმაო მასალას იძლევა მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად: სსრკ-ს დაშლის შემდეგ ახალი დემოკრატიული რუსეთი რამდენად იქნა ადაპტირებული მსოფლიოს ახალი რეალობისადმი, რა შენაძენი და რა დანაკარგია ამ გზაზე.

ყველა საფუძველია ვიფიქროთ, რომ ადაპტაციის პერიოდი მეტად მტკივნეული გამოდგა, ხოლო რეზულტატები უმეტეს წილად პირდაპირ საპირისპირო გამოდგა ახალი რუსული ხელისუფლების მოლოდინისა.

იქცა რა სსრკ-ს დარღვევის ძირითად ფაქტორად — კომუნისტური ბირთვული ზეხელისუფლებისა, რუსეთმა გაცილებით სუსტმა სსრკ-სთან შედარებით ეკონომიკურსა და სამხედრო-პოლიტიკურ მიმართებაში, ვერ შეიძინა ახალი მეგობრები და მოკავშირენი, პარტნიორები და კლიენტები. ამგვარად, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სამი წლის შემდეგ რუსეთი ყოველმხრივ აღმოჩნდა გაცილებით ეული და სუსტი მსოფლიო არენაზე, ვიდრე საბჭოთა კავშირი.

კოზირევის საგარეო პოლიტიკას აქამდე ახასიათებდა მცდელობა ახალ მსოფლიო-სამეურნეო ურთიერთობებში ჩართვისა, კავშირები და საერთაშორისო სტრუქტურები, ურთიერთმოქმედება განსაკუთრებულად აშშ-სთან, მხარს უჭერდა რა ამავე დროს აშშ-სა და გაეროს საერთაშორისო აქციებს.

თუმცა ამჟამადვე შესაძლებელია კონსტანტირება იმისა, რომ როგორც ორმხრივ ურთიერთობებში რუსეთი — აშშ, ასევე მსოფლიო პოლიტიკის სასიცოცხლო საკითხის რეზულტატები რუსეთისთვის მეტად სავალალო გამოდგა. კოზირევის მიერ თავიდან მოკავშირული შემდეგ კი მოწიფებულ პარტნიორულ ურთიერთობებად აშშ-სთან დამოკიდებულების გამოცხადებამ არ მოგვცა საგრძნობი რეზულტატი არც რუსეთის ეკონომიკაში ამერიკელთა დახმარების აქტივიზაციის მხრივ, არც საბაჟო ბარიერების მოხსნისა და რუსული საქონლის ამერიკულ ბაზარზე გატანის მხრივ.

მიუხედავად რუსეთის ხელმძღვანელობის ძალისხმევისა არ დაეშვა ნატო-ს გაფართოება ახალი წევრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხარჯზე, 5 დეკემბერს ბუდაპეშტში ქლინტონმა საბოლოოდ დაასამარა რუს პოლიტიკოსთა იმედები ამ საკითხში.

დასავლეთის ქვეყნების და განსაკუთრებით აშშ-ს პოლიტიკის ევოლუცია მეტად უნუგეშო დასკვნების საფუძველს იძლევა საგარეო პოლიტიკის რეზულტატებზე „ახლო აღმოსავლეთის“ მიმართაც. არც აშშ, არც მისი პარტნიორები არ განიხილავენ რუსეთს მაინტეგრირებელი ფაქტორის ხარისხში ყოფილი სსრკ-ს სივრცეში. ეჭვით უყურებენ რუსეთის მიზნებს მის სამშვიდობო ოპერაციებისას დსთ-ს ტერიტორიაზე, ხოლო ამ რეგიონალური ორგანიზაციის გამყარების ძალისხმევა აღიქმება, როგორც რუსეთის ანუ საბჭოთა იმპერიის აღდგენის მცდელობა. აშშ-სა და მისი პარტნიორების მოქმედება (თუმცა აშკარაა განსხვავება დასავლეთის ქვეყნების პოზიციაში სხვადასხვა კერძო პრობლემებისადმი) ამიერკავკასიაში, შუა აზიასა და უკრაინაში აშკარად მიმართულია გეოპოლიტიკური პლურალიზმის ფორმირებისაკენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და დსთ-ში რუსეთის ლიდერების აღკვეთისკენ.

ამრიგად, საწლიანი ამერიკანოცენტრული საგარეო პოლიტიკის შედეგები ახალ დემოკრატიულ რუსეთში მეტად სავალალოა ყველა მიმართულებით. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ საწლედში, და ეს აშკარა გახდა ბოლო თვეებში, ის ფაქტია, რომ გარკვეული ყოყმანის შემდეგ აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა გადადგეს მეტად სარისკო ნაბიჯი და ინსტიტუციონალურად გაამყარეს „ცივი ომის“ დამთავრების შედეგები: განაცხადეს, რომ სწორედ რუსეთმა განიცადა მარცხი ამ ომში, რითაც გაამაგრეს თავისდა სასარგებლოდ გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური ცვლილებები, რაც საბჭოთა ბლოკის რღვევის შედეგად განვითარდა. ნატო-ს გაფართოება, ემბარგოს მოხსნა ბოსნიაში მუსულმანებისთვის იარაღის მიწოდებაზე და ნატო-ს ჯარების საპასუხისმგებლო ზონის გაფართოება, რუსეთის განდევნა ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებიდან — ნაბიჯია ამ მიზანთა განსახორციელებლად გადადგმული.

ამრიგად, ტოტალური საბჭოთა იმპერიის დაშლის ჯილდოდ რუსეთმა მიიღო არა ცივილიზაციაში დაბრუნება, როგორც საპატიო და თანაბარუფლებიანი პარტნიორისა, არამედ მისი მკვეთრი დასუსტება და იზოლაცია.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარეობს ორი დასკვნა. პირველი — მსგავსი კურსის გაგრძელება დამღუპველია რუსეთისათვის და საჭიროა კარდინალური გადაფასება მისი საგარეო პოლიტიკის, როგორც როლის, ასევე პრიორიტეტებისა. მეორე: — ჩვენმა პარტნიორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ იზოლაციის მუქარა სერიოზულ გავლენას იქონიებს შიდაპოლიტიკურ პროცესებზე რუსეთში და შესაძლებელს გახდის ხელისუფლებაში მოვიდნენ ანტიდასავლეთელები, უკიდურესად ნაციონალისტური ორიენტაციის ძალები, რომლებიც შეძლებენ რუსეთის იზოლაცია გამოიყენონ ავტორიტარული მობილიზაციური რეჟიმის შესაქმნელად, რათა თავი დააღწიონ ქვეყნის შიგნით სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. მოვლენათა ამგვარი განვითარებისას იზოლირებული რუსეთი მობილიზაციური რეჟიმით, როგორც დაჭიმული ზამბარა, სერიოზულ და მუდმივ საფრთხედ იქცევა საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის. ეს ზამბარა ნებისმიერ წუთს შესაძლოა გაიშალოს. ვშიშობ, რომ დასავლეთი იმეორებს შეცდომას რუსეთის მიმართ, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაუშვა გერმანიისადმი. ამან სადამდეც მიგვიყვანა — ყველამ ვიცით.

## რატომ მოხდა ასე

**ჩვენი** საბედისწერო მდგომარეობის გასარკვევად საგარეო პოლიტიკის სფეროში არ არის საკმარისი მხოლოდ გამოვააშკარაოთ ძირითადი ნიშნები ამ პოლიტიკისა და კონსტანტირება მისი რეზულტატებისა. ვთვლი, რომ უაღრესად აქტუალურია თუნდაც გაკვრით შევჩერდეთ ორ საკვანძო საკითხზე. რა ობიექტური ფაქტორები განაპირობებს იმპროვიზაციულ საგარეო პოლიტიკას? რა კორექტივებია შესატანი ახალი საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში?




სსრკ-ს დაშლისა და სკკპ-ის ლიკვიდაციის შედეგად ჩვენ დავარღვიეთ არა მხოლოდ ძველი სამეურნეო სისტემა, არამედ იმავდროულად საერთაშორისო პრობლემების პოლიტიკურად გადაჭრის სისტემა. ძველ სისტემაში დიპლომატიის სფერო და სფერო საკუთრივ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისა დანაწილებული იყო. კომუნისტებს ესმოდათ, რომ საგარეო პოლიტიკა მეტად სერიოზული რამაა, რომ მიანდონ იგი დიპლომატებს. ძველ რეჟიმში საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის და პოლიტიკის ფორმირებით, პრიორიტეტთა განსაზღვრით, სხვადასხვა დაწესებულებათა ძალის კოორდინაციით, როგორც პოლიტიკის ფორმირებით, ასევე მისი რეალიზაციით დაკავებული იყო სკკპ ცკ და მისი სპეციალიზირებული სტრუქტურები. ცკ აწარმოებდა საერთაშორისო პროფილის აკადემიურ ინსტიტუტთა მოღვაწეობას აკადემიას და უფრო საერთაშორისო განყოფილების გონებრივ ცენტრს წარმოადგენდნენ ძველ მოედანზე.

პოლიტიკური გადაწყვეტილებები საგარეო პოლიტიკაში მიიღებოდა ცკ-ის ნარჩოებში, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები იჭრებოდა პოლიტბიუროსა და სამდივნოს დონეზე, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრი იყო ერთი მრავალთაგანი, ვინც საკითხს ჭრიდა. ეს იყო აწყობილი სისტემა პოლიტიკური საკითხების მოგვარებისა, რომლებიც რეალიზდებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და დიპლომატების მიერ მრავალ ადგილას. ძველი სისტემის დაშლის შემდეგ არ მოხერხდა თუნდაც მცირედ ასატანი ახალი სისტემის შექმნა: ნაკლებადუფლებამოსილი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იკისრა ამ ამოცანათა გადაჭრა, ძლივს რომ აბამდა თავს სკკპ ცკ. სსრკ-ს საგარეო საქმეთა სამინისტრო, აკადემიური ინსტიტუტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საერთაშორისო პროფილით სტაბილურ ხელისუფლებასთან შეფარდებით, მკაფიო სტრატეგიისა და საბჭოთა კავშირის განსაზღვრული პრიორიტეტებით.

ძველი რფ-ის უზენაესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტმა ვერ შეძლო ეთამაშა რაიმე არსებითი როლი საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. ეს ნაწილობრივ გახლდათ რეზულტატი კონფლიქტისა ხელისუფლების შტოებსა და კოზირევის პოზიციას შორის, რომელმაც ორ წელიწადში (1992-1993) რუსეთის მთელი საგარეო პოლიტიკა შიდაიდეოლოგიურ ბრძოლამდე დაიყვანა. თუმცა მინისტრი მუდამ იმეორებს, რომ ატარებს საპრეზიდენტო საგარეო პოლიტიკას, პრეზიდენტი ამ სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას პრაქტიკულად მთლიანად დამოკიდებულია რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროზე. დაგვიანებით შექმნილი საგარეოპოლიტიკური სტრუქტურა უშიშროების საბჭოში იური სკოკოვის წასვლის შემდეგ პრაქტიკულად დაინგრა და მისი ნარჩენები სულს ღაფავენ.

ერთადერთი სტრუქტურა, რომელიც საგარეო პოლიტიკასთან კავშირშია, ყოველგვარი კონცეპტუალური მიდგომის გარეშე როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს, ისე უშიშროების საბჭოს მხრივ, ცდილობს რუსეთის მიზნისა და ინტერესების ფორმირებას თანამედროვე მსოფლიოში, ესაა შინაგანი დაზვერვის სამსახური. ჩანს, აკადემიკოს ევგენი პრიმაკოვის გამოცდილება საგარეოპოლიტიკური ხაზით წარსულში, აიძულებს მას რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების საბჭოს სრული იმპოტენციისას შეძლებისდაგვარად შეავსოს ეს ხარვეზი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და მინისტრმა კოზირევმა კი, არ გაანდიათ რა არანაირი იდეა, მხოლოდ ოპერატიული ქმედებებით არიან დაკავებულნი და ფაქტიურად მონოპოლიზირებული გახადეს ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ხაზი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რა კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანა საგანთა ასეთმა განლაგებამ. ინტელექტუალური უსუსურობა, ხაზის უქონლობა, არაკომპეტენტურობა, სერიოზული მოსალაპარაკებელი პროცესის განუხორციელებლობა ვარგისიანი ხელშეკრულებების მოსამზადებლად და ნაყოფიერი რეზულტატების მიღწევა კომპენსირებულია მინისტრ კოზირევის მოჩვენებითი თავგადაკლული აქტივობით, რომელიც დამთხვეულივით დაქრის ვანკუვერს, ქეიფთაუნსა და კასაბლანკას შორის. კარგი იქნებოდა რეზულტატის გარეშე ექროლა. მაგრამ ამ ფსევდოაქტივობის რეზულტატად რუსეთის მდგომარეობა მსოფლიოში სულ უფრო რთულდება. არაა გასაკვირი, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს სიტუაცია სავალალოა. სალხიც მიდის, ბევრ ნიჭიერ ადამიანს არ სურს უაზროდ ჯდომით გაცვითოს შარვალი მინისტრის შემყურემ, როცა ქვეყნის პრესტიჟი სულ უფრო ეცემა, თავად კი კაპიკებს იღებენ. ავი ენები ამბობენ, რომ გლობუსის გარშემო სპეცთვითმფრინავებით უაზრო ქროლვაზე გაწეული ეკონომია წლის მანძილზე საკმარისი იქნებოდა, რომ მნიშვნელოვნად მომატებოდათ ხელფასი სამინისტროს თანამშრომლებს.

## რა ვქნათ

რა შეიძლება გაკეთდეს შექმნილ პირობებში იმისათვის, რომ კვლავ დაიყოს პოლიტიკის და დიპლომატიის სფერო, თავის ადგილზე დადგეს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხოლო საგარეო პოლიტიკა იქცეს მართლაც საპრეზიდენტოდ?

მსოფლიო გამოცდილება გვასწავლის, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები საგარეო პოლიტიკის სფეროში უნდა იქნეს მიღებული დაწესებულებათაშორისი სტრუქტურის ჩარჩოებში. არც უშიშროების საბჭო, არც ნაციონალური უსაფრთხოების თანაშემწის აპარატი დღევანდელი სახით არ ვარგა ამ სახის სამუშაოსთვის რამდენადაც უშიშროების საბჭო დაკავებულია უშიშროების პრობლემით რუსეთის შიგნით, რომ არ იშვას ახალი სტრუქტურები, შეიძლებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა საგარეო პოლიტიკის კოორდინაციაზე შესატყვისი დაწესებულებების (საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, საგარეო დაზვერვის სამსახური, და ა.შ.) ხელმძღვანელების მონაწილეობით პრეზიდენტის თანაშემწის აპარატში ნაციონალური უშიშროების განხრით. ამრიგად, ჩვენ ფაქტიურად გვექნებოდა სტრუქტურა, რომელიც ხელს მოჰკიდებდა რუსეთის უსაფრთხოების პრობლემას მსოფლიოში.

და ბოლოს, საერთო მონახაზით ვუპასუხოთ კითხვას, რა ქნას რუსეთმა შექმნილ ვითარებაში? როგორი უნდა იქნეს თუნდაც ყველაზე ზოგადი ორიენტირი მისი საგარეო პოლიტიკისა მას შემდეგ, რაც დაირღვა ძველი?

მთავარი დასკვნა, რაც დღეს უნდა გაკეთდეს ყოველივე ზემოთქმული წარუმატებლობათა მიზეზებიდან გამომდინარე — ესაა ამით ფაციფუცი. ბრიუსელისა და ბუდაპეშტის „ცივმა შხაპმა“ გონს უნდა მოგვაგოს. რუსეთის საგარეო პოლიტიკას ესაჭიროება პაუზა. კმარა არაფრისმომტანი ინიციატივები, ვიზიტები და სიტყვების კორიანტელი. არ უნდა მოვიხვიოთ თავს არავითარი სტრუქტურები და კავშირები, სადაც არც გველიან და არც ესალისებათ ჩვენი ხილვა. საეჭვოა ამგვარმა კავშირებმა და სტრუქტურებმა უზრუნველყოს რუსეთის დიდი უსაფრთხოება ან შეუმსუბუქოს მას ეკონომიკური მდგომარეობა. დასავლეთმა უკვე დაკარგა შანსი უმტკივნეულოდ ჩაერთო რუსეთის საერთაშორისო სტრუქტურებში რუსეთისათვის ზარალის გარეშე და მისი ღირსებაც დაკარგა. რუსეთს შეუძლია თავისუფლად ამოისუნთქოს, რამდენადაც მისი იმედები, რომ თუ კარგად მოიქცევა, თუ არ აწყენინებს აშშ-ს, გერმანიას, იაპონიას, [illegible] და კიდევ რომელიმე [illegible] ამ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხში, მიიღებს შესაბამის ჯილდოს, უკვე გაიფანტა. აშშ-მ, როგორც რუსეთის მამოძრავებელმა, კოზირევის კონცეფციით, ვერ გაართვა თამაშს თავი. აქ შესაძლოა სამგვარი ახსნა. ან ვერ გაიგო ეს როლი, ან ვერ აუხსნეს გასაგებად რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროში ან თავიდანვე არ აპირებდნენ მსგავსი როლის თამაშს.

ასეა თუ ისე, რუსეთი აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როცა ხელ-ფეხი გახსნილი აქვს როგორც დასავლეთისკენ, ასევე აღმოსავლეთისკენ და მას, ბოლოსდაბოლოს, გარდაქმნის დასაწყისიდან შეუძლია საკუთარი პოლიტიკის წარმოება უკანმოუხედავად იმაზე, მიიღებს თუ არა თავისი საქციელისთვის ჯილდოს და ყოველგვარი წინასწარი ვალდებულებების გარეშე სხვების მიმართ. პაუზა უნდა გამოვიყენოთ რუსეთის პრიორიტეტების შეცვლისათვის. სამწუხაროდ, კოზირევმა მეტად გვიან გაიხსენა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის დედაქალაქები. საჭიროა ანგარიში ძალთა ახალი ბალანსისა მსოფლიოში მთლიანად და რუსეთის ცალკეულ საკვანძო რეგიონში. ჩანს, უახლოესი პერსპექტივით რუსეთმა რეალურად უნდა დაძაბოს თავისი ყურადღება დსთ-ის ქვეყნებში. ჩვენ ბოლოსდაბოლოს უნდა გავერკვეთ, რა და რა საჭე გვიპყრია ხელთ აქ, რათა შეიქმნას სტაბილური და კეთილმეზობლური ზოლი და როგორ ვაპირებთ მის გამოყენებას, რათა აღვკვეთოთ გეოპოლიტიკური პლურალიზმის შექმნის მცდელობა ყოფილი სსრკ-ს

ვაქციოთ სიტყვა მრავალდონიანი ინტეგრაციის დაწინაურების თაობაზე. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, სერიოზული ეკონომიკური მსხვერპლის გაღება მოგვიხდეს სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ინტერესების სახელით. რაც შეეხება შორეულ საზღვარგარეთს, უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ დღეს მეტად შეზღუდული რესურსები და შესაძლებლობები გაგვაჩნია, რათა გლობალური გავლენა შევძლოთ მსოფლიო მოვლენებზე. მით უმეტეს, უნდა გავითვალისწინოთ ძალთა და ინტერესთა ბალანსი, რათა ჯერ კიდევ შემორჩენილი მნიშვნელოვანი წონა და ხმა რუსეთისა უშიშროების საბჭოში მაშინ მოვიშველიოთ, როცა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს შეეხებიან. და არა იმისთვის, რომ მეყსეული აპლოდისმენტები და ფუჭი დაპირებები დავიმსახუროთ. არ მიიღებს რა მონაწილეობას მდგრად ბლოკებსა და კავშირებში, რუსეთის საშუალება ექნება ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში თავად განსაზღვროს, ვის საწინააღმდეგოდ გამოვა, გამომდინარე მხოლოდ თავისი საკუთარი ინტერესებიდან.

რუსეთმა ხელახლა უნდა მოიპოვოს დიდი ხნის წინ ცნობილი, მაგრამ გორბაჩოვის, შევარდნაძის, კოზირევის ქარაფშუტობით დავიწყებული ჭეშმარიტება, რომ სახელმწიფოს არ ჰყავს მუდმივი მოკავშირენი და მეგობრები, არამედ გააჩნია მუდმივი ინტერესები.

ვიმედოვნებ, რომ ამ ახალ კურსს, რომელმაც რუსეთს უნდა დაუბრუნოს ჩვეული ღირსება და პატივი, შეიმუშავებს და შეეცდება მის რეალიზებას ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი საგარეო პოლიტიკის გამომუშავებისა და რეალიზების ახალი მექანიზმის დახმარებით.

„ნეზავისიმაია გაზეტა“
10 დეკემბერი, 1994 წ.

თარგმნა
ნინო ფაცურია

ინტერვიუ

# მერაბ ურიდია:

# ბალანსი საქართველომ უნდა ეძებოს გზაჯვარედინზე

— ბატონო მერაბ, ამ ცოტა ხნის წინათ ჩატარდა რესპუბლიკური პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა და სამი პოლიტიკური ორგანიზაციის — სახალხო ფრონტის, ქარტია 91-ის, და რესპუბლიკური პარტიის საფუძველზე შეიქმნა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია. ამ ყრილობაზე თქვენ აგირჩიეს პარტიის პოლიტიკური საბჭოს მდივნად და დაგეკისრათ საპასუხისმგებლო საქმეების მართვა. აქედან გამომდინარე, გთხოვთ ისაუბროთ პარტიის უახლოეს ამოცანებზე და იმ პრობლემებზე,რაც ხელს უშლის მას ამ ამოცანების გადაჭრაში.

— უპირველეს ყოვლისა ჩვენი გაერთიანების შესახებ მოგახსენებთ. ჩვენი გაერთიანება არის ერთერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების ცივილიზებული ნორმებით განვითარებისათვის, როგორც ეს დასავლეთში და საერთოდ დღევანდელ მსოფლიოშია მიღებული. საქმე იმაშია,რომ იმ ტიპის მოძრაობები, როგორიც იყო სახალხო ფრონტები აღმოსავლეთ ევროპის თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ასევე იმ ტიპის მოძრაობა, როგორიც იყო ქარტია ჩეხეთ-სლოვაკეთში ჰაველის მეთაურობით, ახასიათებს პერიოდს ქვეყანაში, რომელიც გარდამავალია სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში. დღეს გარკვეულწილად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ეტაპი ნაწილობრივ გადალახულია და დროა შეიქმნას ისეთი პარტიები, რომელიც გასაგებია ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკოსისათვის, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოკვეთილი ორიენტაცია.

მართალია, რთული იყო ამის გაკეთება, პარტია გარდა პოლიტიკური მიზნებისა და თავისი პროგრამისა წარმოადგენს ადამიანთა ისეთ გაერთიანებას, სადაც სხვა ურთიერთობებიც მყარდება და ჩვენ გადავლახეთ ყველა წინააღმდეგობანი, გარკვეულწილად მოვაწესრიგეთ პოლიტიკური სპექტრი საქართველოში და სხვასაც მაგალითი მივეცით. ჩემი აზრით, ჯერ არ არის სრულყოფილი პარტიის სტრუქტურები, მაგრამ იგი მუშაობს და გარკვეული გავლენა აქვს საზოგადოებაში. მე მინდა მადლობა გადავუხადო სამივე ორგანიზაციის თავმჯდომარეს, რომლებმაც უარი თქვეს თავიანთ პოსტებზე, რაც მათი მხრიდან გაბედული ნაბიჯი იყო და გაერთიანებისათვის გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ. ჩვენი ორიენტაცია მემარჯვენე ტიპის არის, როგორც პარტიის სახელწოდება გვიჩვენებს და ვეცდებით,რომ ამ პრინციპებიდან არ გადავუხვიოთ. ხელის შეშლით ძალიან ბევრი რამე გვიშლის ხელს, განსაკუთრებით ის ატმოსფერო,რომელიც შექმნილია ქვეყანაში. უკანასკნელი პოლიტიკური ტერორიც ამაზე მეტყველებს. სერიოზულ ძალებს სურთ საქართველოში პოლიტიკური პროცესის ჩაშლა და ილაშქრებენ პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ. სხვათა შორის, პარტიებზე დაწოლა უფრო ძლიერდება, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები. უახლოესი რიგის ამოცანაა არჩევნებში აქტიური მონაწილეობა და წარმატების მიღწევა. ამ საქმეში წარმატებისათვის ფინანსები ბევრ რამეს წყვეტს, რაშიც ძალიან მოვიკოჭლებთ. როგორც იტყვიან, ამომრჩევლებამდე პროგრამის მიტანა და თავის გაცნობაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ჩვენ ამ მხრივ სპეციალური მუშაობა არ გაგვიწევია, მაგრამ ვფიქრობთ რომ თანხების მოსაკრებად მუშაობასაც შედეგიანად წარვმართავთ იმ მეთოდებით, რაც ცივილიზებულ პარტიულ მუშაობაშია მიღებული. ეს გამოიხატება იმაში, რომ ვეცდებით მოვიზიდოთ ფინანსები იმ ადამიანებისაგან, შემოწირულობის სახით, ვინც ჩვენს დასაყრდენს წარმოადგენს. ესენი კი ის ადამიანები არიან, რომლებიც საქართველოდან არსად წასვლას არ აპირებენ, სურთ თავიანთ სამშობლოში ცხოვრება და მისი ჭირ-ვარამის ბოლომდე გაზიარება. ჩვენი აზრით, ასეთი ადამიანები მზად არიან გაიღონ გარკვეული სახსრები, რათა ქვეყანაში შეიქმნას ისეთი პირობები, რომ მათ შვილებს ნორმალური ცხოვრების საშუალება მიეცეთ. ვფიქრობთ, გარკვეული ნდობა მოპოვებული გვაქვს ხალხში, რადგან ჩვენი საქმიანობა საშუალებას იძლევა იმ დასკვნების გამოტანისა, რომ რაც გვითქვამს და რა პოლიტიკური ხაზიც გვქონია, მისთვის არ გადაგვიხვევია, შეიძლება ვერ განგვიხორციელებია,რადგან ეს მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ ჩვენი პრინციპებისათვის არ გვიღალატია, აქედან გამომდინარე, იმედი გვაქვს,რომ ამ პრობლემასაც გადავჭრით და ღირსეულ წარმატებას მივაღწევთ არჩევნებში.

**— საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის გარშემო დიდი დავა-კამათია, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში აღნიშნავენ,რომ პრორუსული კურსი ობიექტური რეალობიდან გამომდინარე ხორციელდება, რასაც ხალხის გარკვეული ნაწილიც უჭერს მხარს. თქვენი აზრით, რუსეთის ფაქტორი მართლაც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით ცალმხრივი კომპრომისების გზით უნდა იაროს?**

— ისტორიულად რუსეთის ფაქტორი საქართველოში არსებობდა, არსებობს და ალბათ იარსებებს ყოველთვის. როცა საქართველო მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი იყო. იგი ამ პრობლემას აბალანსებდა სხვა ქვეყნების ხარჯზე პოლიტიკური ხერხებით.ამისავე იმედი იყო შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის დროს, თითქოს ჩანდა რაღაც ბალანსის ძებნის პოლიტიკა,სინამდვილეში, და ჩვენ ასე შევაფასეთ პარლამენტში გამოსვლების დროს, ეს იყო ფსევდობალანსი და მეტი არაფერი. სამწუხაროდ,რუსეთმა მოახერხა ის, რომ საქართველოს მმართველი ფენა მთლიანად დაემორჩილებინა და თავისთვის სასარგებლო პოლიტიკა გაეტარებინა მისი მხრიდან ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. გასაგებია, ის გეოპოლიტიკური სიტუაცია, რომელშიც საქართველო იმყოფება და ის გეოპოლიტიკური მდებარეობა, რომელიც მას აქვს, გამორიცხავს პოლიტიკურ არსებობას რუსეთის მონაწილეობის გარეშე, მაგრამ არსებობს დაბალანსების მრავალი მექანიზმი,რომელიც არ შედგა. იყო გარკვეული მცდელობა დასავლეთის მიმართულებით, მაგრამ რეალური არაფერი განხორციელდა. მე ჩემს წინასაარჩევნო გამოსვლებში ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, ბალანსი საქართველომ უნდა ეძებოს გზაჯვარედინზე, გზაჯვარედინი კი ასეთია — რუსეთი, თურქეთი, გერმანია და ირანი. ასე ვთქვათ, დასავლეთ-აღმოსავლეთი. აქ შეიძლება ბალანსის პოვნა და იმის გაწონასწორება, რასაც რუსეთის ფაქტორი ჰქვია. სამწუხაროდ, ამის არასაკმარისი ძიება მიმდინარეობს, უფრო მეტიც, მიუხედავად პრაქტიკულად მთელი ხელისუფლების პრორუსული განწყობილებისა, ამის გამოყენებაც არ ხდება. მხედველობაში მაქვს ის, რომ იმ მოვლენების ფონზე, რაც მიმდინარეობს ჩეჩნეთში, რაც სამწუხაროდ ჩეჩენი ხალხისა და ჩვენთვისაც უბედურებაა, რადგან რუსეთი აბსოლუტურად ყველა ნორმის დარღვევით მოქმედებს იქ, ამ მოვლენების გამოყენება ჩვენი პრორუსული ხელისუფლების მხრიდან არ ხდება აფხაზეთში, სადაც თითქმის ანალოგიური მოვლენებს აქვს ადგილი. საქმე იმაშია, რომ იურიდიულად და ფორმალურად მოვლენები ერთმანეთის მსგავსია, თუმცა სინამდვილეში განსხვავებული ისტორიული სიტუაციებია. ჩეჩნეთი რუსეთის მიერ არის დაპყრობილი მე-18, მე-19 საუკუნეებში და იქ დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო ყოველთვის, შამილის გახსენებაც კმარა. ხოლო აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს მიწა-წყალი იყო, მაგრამ ფორმალურად სიტუაცია ერთმანეთის მსგავსია. ავტონომია ჩეჩნეთის სახით რუსეთში აცხადებს დამოუკიდებლობას და ავტონომია აფხაზეთის სახით საქართველოში აცხადებს დამოუკიდებლობას, თუმცა ჩეჩნეთში სანამ დამოუკიდებლობა გამოცხადდებოდა, ჩეჩნები მოსახლეობის 90% წარმოადგენდნენ, ხოლო აფხაზები ავტონომიური აფხაზეთის მოსახლეობის 17%. დღეს ამ პროცესში არმონაწილეობა,რომ თითქოს არ ხდება გროზნოს დაბომბვა და ჩეჩნეთის ომი, ამაზე თვალის დახუჭვა და ამის არგამოყენება, ეს არის ჩვენი ხელისუფლების დიდი უსუსურობა, ეს ნიშნავს,რომ ისინი არაფერს წყვეტენ. შეიძლება მონაწილეობა ორი მიმართულებით, ერთი ჩეჩნეთის მხარეს და მეორე, ჯანდაბას,რუსეთის მხარეს, ანუ თუ რუსეთის მხარესა ვართ მოვთხოვოთ რუსეთს, რომ გაგვაკეთებინოს ის, რასაც თვითონ აკეთებს ჩეჩნეთში. ჩვენი ხელისუფლება ისეა პარალიზებული, თითქოს ეს ამბები ჩეჩნეთში კი არ ხდება, არამედ სადღაც ავსტრალიაში, ოკეანეების იქით. ამიტომ რა რუსეთის ფაქტორზეა ლაპარაკი. ცხადია იგი არსებობს, მაგრამ ამ ფაქტორის მიმართ საჭიროა გარკვეული პოლიტიკის წარმოება. თორემ საქმე გვაქვს ცალმხრივ კომპრომისთან და ეს კომპრომისი მიმართულია სკამების შენარჩუნებისკენ. ეს აჩვენა ამ ხელისუფლების მმართველობის განვლილმა პერიოდმა. იყო ამაზე დებატები პარლამენტშიც, რომ ერთადერთი გამარჯვება, რაც ამ ხელისუფლებამ მოიპოვა,ეს იყო გამარჯვება ქართველების წინააღმდეგ, ცხადია რუსეთის დახმარებით, სკამების შენარჩუნებისათვის. თუ მიზანი არის სკამის შენარჩუნება, მაშინ არავითარი სერიოზული პოლიტიკის წარმოება არ ხდება. მე არაფერს ახალს არ ვამბობ, ეს არის ფაქტების აღნუსხვა. ჩემი აზრით, რუსეთისათვის საქართველო იმოდენა ფაქტორი არ უნდა იყოს,როგორც საქართველოსთვის რუსეთი, მაგრამ რაღაც ფაქტორს მაინც უნდა წარმოადგენდეს. ნებისმიერი ნორმალური ხელისუფლებისათვის ეს იქნებოდა მიღწევადი, შესაძლებელი და მოგვარებადი.ე.ი.სიქმე გვაქვს არა ბალანსირების პოლიტიკასთან, არამედ ფსევდობალანსირებასთან.

**— თქვენ ოპოზიციის იმ ნაწილს მიეკუთვნებით,რომელიც ხელისუფლებას სთავაზობდა მმართველობითი სტრუქტურების რეორგანიზაციას, რაც მის მიერ უგულებელყოფილ იქნა. ამჟამად ყველასათვის ცხადია, რომ ხელისუფლებამ ქვეყანა სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრახამდე მიიყვანა.**

**რა შეფასებას მისცემდით იმ პოლიტიკურ კურსს, რასაც შევარდნაძე-იოსელიანის ხელისუფლება ატარებს,უბრალოდ ეს არის უუნარობა თუ სხვა მიზეზიც არსებობს?**

— ხელისუფლების რეორგანიზაციის საკითხი ვცდილობდით პარლამენტის სხდომებზე გაგვეტანა, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურისა და ხელისუფლების მხრიდან ამას არ მოჰყვა მხარდაჭერა. უპირველესად ვცდილობდით კაბინეტურ სისტემაზე გადავსულიყავით და ამ მოთხოვნას ვაყენებდით მანამ, სანამ სავალუტო ფონდი და დასავლეთი ურჩევდა ხელისუფლებას. მინისტრთა კაბინეტი უნდა იყოს პოლიტიკური ორგანო და უნდა განახორციელოს თავისი პოლიტიკური ნება. სამწუხაროდ, ეს არ გაითვალისწინეს და შემოღებულ იქნა იმ ტიპის მმართველობის ფორმა, რაც კომუნისტებს ახასიათებდათ, როდესაც პარტიის ცეკა ყველაფერს კარნახობდა მთავრობას და მთავრობა მხოლოდ სამეურნეო საქმიანობას წარმართავდა. ამჟამად პარტიის ცეკა შეიცვალა სახელმწიფოს მეთაურის აპარატით სახელმწიფოს მეთაურის ხელმძღვანელობით და მთავრობას ისევ სამეურნეო ფუნქციების შესრულება დაევალა. დღეს ეს აბსურდია, იმიტომ რომ სხვა ტიპის პროცესები მიმდინარეობს სსრკ-ს ყოფილ ტერიტორიაზე და სამეურნეო ფუნქციების შესრულება ვერ შეძლო ძველი ყაიდით მოწყობილმა მინისტრთა კაბინეტმა. რაც დღეს გვჭირს ყველაფერი ამის ბრალია. ოთარ ფაცაცია შესაძლოა იყო კარგი ხელმძღვანელი ზუგდიდის ქაღალდკომბინატში, ის ახერხებდა ძველი მეთოდებით მართვას და შესაძლოა მაშინდელ მინისტრთა საბჭოსაც წარმატებით გაძღოლოდა, მაგრამ, ცხადია, დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრად ვერ ივარგებდა იმ მენტალიტეტისა და ასაკის გამო, რაც მას გააჩნია. თუნდაც ქონდეს მის მიმართ რაიმე იმპატია, უნდა ვთქვა,რომ ის არ იმსახურებს იმ პასუხისმგებლობას, რაც მას მიანიჭეს, მითუმეტეს,რომ ის ამ პოსტზე გარკვეული მოსაზრებებით დაინიშნა. ამ საკითხში ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც მინისტრთა კაბინეტს უნდა შემოეტანა [illegible] ხელისუფლების რეორგანიზაციის პროექტი, რასაც ითხოვდა მსოფლიოს ბანკიც და სავალუტო ფონდიც. მთავრობამ შემოიტანა კიდეც ასეთი პროექტი, რომლის განხილვაც დღის, რომელიც ჰგავს ჩვენსას, თუ არ ჩავთვლით მასში სამაშველო და სამოქალაქო თავდაცვის ოდიოზური სამინისტროს შექმნის სურვილს და მასობრივი ინფორმაციის დეპარტამენტის შექმნის გეგმას,რომელიც ძველი სოციალისტური რეჟიმის გადმონაშთად მიგვაჩნია. ის, რომ ამჟამინდელი მინისტრთა კაბინეტი უვარგისია,ამის მარტივი მაგალითიც შეგვიძლია მოვიყვანოთ.ქვეყანას არ გააჩნია ენერგეტიკის სამინისტრო,არსებობს ოთხი დამოუკიდებელი დეპარტამენტი — საქენერგო, საქნავთი, საქგაზი და საქნახშირი. ესენი არიან დამოუკიდებელნი და ერთმანეთს აბრალებენ ყველაფერს. არ არსებობს ქვეყანა, სადაც ენერგეტიკაზე ერთი პასუხისმგებელი ორგანო არ იყოს. ეს მხოლოდ საქართველოა. ეს საკითხი ბევრჯერ დავაყენეთ, მაგრამ შეგვხვდა შევარდნაძის დიდი წინააღმდეგობა — რა საჭიროა ერთი სამინისტრო, არსებობს ოთხი დეპარტამენტი და საქმესაც ეგენი მიხედავენო, მაგრამ ვერ მიხედავენ. არ უნდა ველოსიპედს თავიდან გამოგონება, რაც უკვე ამართლებს სხვა ქვეყნებში, ის უნდა გადმოვაქართულოთ. საქმე როგორც ხედავთ არ კეთდება. მეტრო ელექტროენერგიის უქონლობის გამო არ მუშაობს, შუქი არა გვაქვს და არც გაზის ქონის დიდი პერსპექტივაა. გაზით ელექტროენერგიის წარმოება არცერთ ქვეყანაში არ ხდება, ვისაც საკუთარი გაზი არა აქვს. ალტერნატიული გზები რა თქმა უნდა არსებობს,მაგრამ ამას სჭირდება პასუხისმგებლობის მქონე აღმასრულებელი ხელისუფლების გუნდი, რომელსაც აქვს პოლიტიკური ნება, ზეწოლას არ ექვემდებარება და ატარებს თავის ხაზს. დღევანდელი მთავრობა,რომელიც მხოლოდ სახელმწიფო მეთაურის წინაშე არის პასუხისმგებელი, თავის სამეურნეო ფუნქციას ვერ შეასრულებს, რომც მოინდომოს კიდეც, მაინც არაფერი გამოუვა,რადგან მთავრობის ამგვარი სტრუქტურა ანაქრონიზმია. გაკეთებით მარტო თავისი ოჯახის საქმეს აკეთებენ და ეს კი ნამდვილად კარგად გამოსდით.ალბათ მოსახლეობაც კარგად ხედავს ყოველივეს. სხვათა შორის, მე მეეჭვება, რომ მათი დიდი ნაწილი საერთოდ საქართველოში აპირებს ცხოვრებას. ისე, დღესდღეობით მათი ოჯახების რა რაოდენობაა საქართველოში ესეც ძალიან საინტერესო იქნებოდა.ყოველივე ამის მიზეზი მაინც უუნარობაა თუ სხვა რამ არ ვიცი, მაგრამ ალბათ მთავარი მიზეზი მაინც არის ბრძოლა სკამისათვის. რისთვის მიმდინარეობს ეს ბრძოლა, ეს უკვე თვისებაა თუ მატერიალური დაინტერესება ეს არ ვიცი, მაგრამ მთავარი მაინც ეს არის ბრძოლა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ანუ ხელისუფლება ხელისუფლებისათვის, რაც ცხადია დიდხანს ვერ გაგრძელდება დღევანდელ მსოფლიოში.

**— შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა გიორგი ჭანტურიას მკვლელობის ფონზე სერიოზული პარტიების გარკვეულ პლატფორმაზე გაერთიანება, თუნდაც კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების მიზნით,რომ ქვეყანაში მოხდეს რადიკალური ცვლილებები?**

— მოგეხსენებათ,რომ პოლიტიკური კლუბის ინიციატივით მოხდა შეხვედრა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიას, ტრადიციონალისტთა კავშირსა და მოქალაქეთა კავშირს შორის, ცხადია, გიორგი ჭანტურიას მკვლელობამ პოლიტიკური პროცესის ნორმალურ განვითარებას დიდი საფრთხე შეუქმნა, რაშიც დაინტერესებულნი არიან ის ძალები, რომლებიც საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის წინააღმდეგნი არიან. რა თქმა უნდა, ამ ძალებთან დასაპირისპირებლად ერთობლივად გამოსვლის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა და დღეს ინტენსიურ პოლიტიკურ კონსულტაციებს ეწევა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ტრადიციონალისტთა კავშირი და გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია. რა თქმა უნდა, ლაპარაკია კოალიციური მთავრობის შედგენაზე და ჩრდილოვანი კაბინეტის შექმნაზე. დღეს ხელისუფლებაში მოსვლა შეიძლება წამგებიანიც იყოს ამდენი პრობლემების მქონე ქვეყანაში,მაგრამ პოლიტიკური ქულების დაგროვების დრო არ არის. ქვეყანა კრიზისშია და თუ პასუხისმგებლობა გაგვაჩნია, მზად უნდა ვიყოთ ხელისუფლების ხელში აღებისათვის. რაც შეეხება გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას, უნდა ითქვას, რომ ჩვენ მზად ვართ იმ პასუხისმგებლობისათვის, რასაც ხელისუფლებაში ყოფნა აკისრებს პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ესაუბრა ჩვენი
სპეც. კორესპონდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმპერიიდან იმპერიამდე...

ვახტანგ გურული — ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

რუსეთის სახელმწიფოს არსებობის ერთადერთი ფორმაა იმპერია. ეს ივანე მრისხანის, პეტრე დიდის, ეკატერინე მეორის, ნიკოლოზ პირველის ან იოსებ სტალინის სურვილი არ ყოფილა. ეს რუსეთის ისტორიული განვითარების კანონზომიერებაა და მისი უგულებელყოფა ყოველთვის ძვირად დაუჯდა რუს ხალხს. უფრო მეტი დემოკრატია, რაც თვით იმპერიის არსებობაში ძევს, რუსეთში შეუძლებელია. უფრო ზუსტად ეს არ არის დემოკრატია, ესაა ძველი სლავური ცხოვრების პრიმიტივიზმი, რომლის აყვანა დემოკრატიის რანგში არასდროს არ მოხერხდა.

დასუსტებულ, დაკნინებულ რუსულ სახელმწიფოს არასდროს არავითარი რეფორმა არ შველოდა. გამოსავალი ყოველთვის ახალი, არარუსული ტერიტორიების, სხვადასხვა ქვეყნებისა და ერების ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის კარგად ორგანიზებულ ექსპლოატაციაში მდგომარეობდა. რუსეთის სახელმწიფოს სხეულში არსებულ სენს ყოველთვის ახალი ტერიტორიების დაპყრობით ჰკურნავდნენ. საყოველთაოდ გახმაურებული ივანე მრისხანის (1533-1584) რეფორმების შედეგი უმნიშვნელო იქნებოდა, რუსეთს რომ არ დაეპყრო ყაზანის სახანო (1552 წ.). უფრო მეტიც, ივანე მრისხანემ ბალტიისპირეთის დაპყრობაც კი განიზრახა და მთელი ოცდახუთი წელი (1558-1583 წწ.) იბრძოდა იქ განმტკიცებისათვის, მაგრამ ამაოდ. დასავლეთ ევროპის ქვეყნების საბედნიეროდ და რუსეთის საუბედუროდ ივანე მრისხანემ ლივონიის ომი წააგო, ბალტიისპირეთი ვერ დაიპყრო და მალე რუსეთის სახელმწიფო დაქვეითების გზას დაადგა, რომელიც საბოლოო ჯამში პეტრე დიდის მეფობის დასაწყისამდე (XVII საუკუნის დასასრული) გრძელდებოდა. ივანე მრისხანეზე გაცილებით დიდი რეფორმატორი პეტრე დიდი (1696-1725) კარგად გააზრებულ რეფორმებთან ერთად მეფობის პირველი წლებიდანვე ცდილობდა ახალი ქვეყნებისა და ხალხების დაპყრობას. რუსეთის აგრესიული პოლიტიკის სფეროში მოექცა აზოვისპირეთი და მთლიანად ჩრდილო შავი ზღვისპირეთი (ყირიმის სახანო), დუნაისპირეთი (მოლდავეთის სამთავრო), კასპიის ზღვის დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროები (ირანის სამფლობელოები კავკასიაში). პირველ რიგში კი აუცილებელი გახდა რუსეთის სახელმწიფოს ძლიერების უპირველესი პირობის — ბალტიისპირეთის დაპყრობა, რომელიც რუსეთის ისტორიაში უფრო ლამაზი სახელწოდებით — ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისათვის ბრძოლით იხსენიება და არა ლიტველების, ლატვიელებისა და ესტონელების დაპყრობით. პეტრე დიდის რეფორმები აუცილებლად კრახით დამთავრდებოდა რუსეთს ბალტიისპირეთი რომ არ დაეპყრო, ხოლო მთლიანად სახელმწიფო ისევე დაკნინდებოდა, როგორც დაკნინდა ივანე მრისხანის შემდგომი პერიოდის რუსეთი. უფრო მჭევრმეტყველი ფაქტი ალბათ არც შეიძლება მოიძებნოს: **პეტრე დიდმა ახალი დედაქალაქი სანკტ-პეტერბურგი სწორედ სხვა ხალხისათვის წართმეულ ტერიტორიაზე დააარსა და ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე აქედან იმართებოდა უზარმაზარი იმპერია.** სხვა ხალხებისა და ქვეყნების ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის ექსპლოატაცია საბოლოოდ დაკანონდა პეტრე დიდის შემდგომი პერიოდის იმპერატორების დროს, განსაკუთრებით კი ეკატერინე მეორიდან (1762-1796) დაწყებული და ბოლო რომანოვი იმპერატორით — ნიკოლოზ მეორით (1894-1917) დამთავრებული. ოღონდ რუსეთის „ევროპეიზაციასთან" დაკავშირებით ხალხებისა და ქვეყნების დაპყრობების მეთოდები იხვეწებოდა, დაიხვეწა ტერმინოლოგიაც. დამკვიდრდა ცნებები „შეერთება", „ნებაყოფლობითი შეერთება" და ა.შ., რაც ფაქტიურად დაპყრობას ნიშნავდა. ეკატერინე მეორის ეპოქაში ბევრი რამ გაკეთდა ქართული სამეფო-სამთავროების „ნებაყოფლობითი შეერთების" მოსამზადებლად. გაკეთდა ოსტატურად, დახვეწილი დიპლომატიით. საქართველოს „ნელი მოკვდინების" პოლიტიკამ რეალური შედეგი გამოიღო და 1801 წელი რუსეთის ისტორიაში აღინიშნა კიდევ ერთი „ნებაყოფლობითი შეერთებით" — რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფო დაიპყრო. აქვე უადგილო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ტყუილად სდებდნენ და დღესაც სდებენ ბრალს ერეკლე მეორეს საქართველოში რუსეთის შემოყვანაში. ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის ბრწყინვალე ნათქვამი: გასარკვევია რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოჰყავდა. რა თქმა უნდა რუსეთი მოდიოდა და საქართველოს დაიპყრობდა მაშინვე, როგორც კი კავკასიიდან თურქეთისა და ირანის განდევნისათვის ხელსაყრელი საერთაშორისო და სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნებოდა. ასეც მოხდა. რუსეთის სახელმწიფო სისხლის გადასხმას ითხოვდა და ეს სისხლი ამჯერად საქართველოს უნდა გაეღო.

ას ჩვიდმეტი წელი იბატონა რუსეთმა საქართველოში. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერავითარი სხვა შედეგი ვერ აანაზღაურებს, მაგრამ არც ისიც უარყოფა შეიძლება, რომ XIX საუკუნის მანძილზე გარკვეული ძვრები მოხდა ქართველი ერის ცხოვრების ყველა სფეროში. ბევრი ჭრილობა შეხორცდა, ბევრ წყენა დაივიწყეს ქართველებმა, ერთ რამეს კი არ ეშველა. საქართველოს დაპყრობიდან ექვსი ათეული წლის შემდეგ სრულიად გარკვევით დანანებით თქვა: **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს".** ეს დიდი პრობლემა, დიდი სატკივარი საქართველოში რუსეთის დამკვიდრებიდან ას შვიდი წლის შემდეგ ასე გამოხატა არჩილ ჯორჯაძემ: **„ქართველი ხალხის მიერ შეუწყნარებლობა რუსეთის სახელმწიფოებრიობისა".** ეს იყო ილია ჭავჭავაძის სიტყვების — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" თითქმის უცვლელად გამეორება.

ისტორიულმა კანონზომიერებამ მესამე რომი — რუსეთის იმპერია მაინც დაანგრია. პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ.) გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიებთან ერთად რუსეთის იმპერიასაც მოუღო ბოლო. რუსმა პოლიტიკოსებმა, სუსტი რუსული დემოკრატიის ინტერესებს რომ გამოხატავდნენ, 1917 წელს სცადეს სლავური პრიმიტივიზმის დემოკრატიის რანგში აყვანა. ეს იყო გულწრფელი ცდა. ამ იდეით ცხოვრობდა რუსეთი 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებამდე. ხელადებით ვერ იტყვი, რომ რუსეთის დემოკრატიამ იმპერიის იდეა უარყო, მაგრამ ის კი ცხადია, რომ კარგად დაინახეს იმპერიისა და დემოკრატიის ინტერესების შეუთავსებლობა. ორ სკამზე ჯდომა რუსმა დემოკრატებმა ცნობილი შედეგით დაამთავრეს, თუმცა არც იმისი მტკიცება შეიძლება, რომ რუსი დემოკრატების მიერ იმპერიის იდეის უარყოფას რუსეთში დემოკრატიის დამკვიდრება მოჰყვებოდა: ალბათ დემოკრატია რუსეთში მაინც განწირული აღმოჩნდებოდა. სლავურ პრიმიტივიზმში იმპერია უფრო მეტ დასაყრდენს პოულობდა ვიდრე დემოკრატია. გარდა ამისა იმპერიის იდეის უარყოფას რუსეთში **ქაოსი, ანარქია და სახელმწიფოს დაკნინება** მოჰყვებოდა. ეს კი ადრე თუ გვიან იმპერიის იდეის ახალი ძალით გამოვლინებას გამოიწვევდა. იმპერია მაინც აღდგებოდა. თუმცა აქამდე საქმე არ მისულა. ბოლშევიკებმა და უპირველეს ყოვლისა იოსებ სტალინმა რომანოვების იმპერიის ნანგრევებზე ახალი იმპერიის შექმნისაკენ აიღეს გეზი.



რუსეთის დემოკრატიამ (კ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, ა. კერენსკი, მ. სკობელევი, ნ. მილიუკოვი, ა.გუჩკოვი და სხვ.) რუსეთის ისტორია ცუდად იცოდა, ცუდად იცნობდა რუს ხალხს, ვერ ამჩნევდა დიდ უფსკრულს რეალურსა და იდეალურს შორის. რუსმა დემოკრატებმა რუსი ხალხისათვის გაუგებარი იდეების პროპაგანდაში გაატარეს ხელისუფლების სათავეში ყოფნის მთელი პერიოდი. რუსეთის ისტორია კიდევ უფრო ცუდად იცოდნენ ბოლშევიკებმა: ვ. ლენინმა, ლ. ტროცკიმ, ლ. კამენევმა, გ. ზინოვიევმა, ნ. ბუხარინმა და სხვ. იმდენად ცუდად, რომ რუსი დემოკრატების შეცდომებზეც კი ვერ ისწავლეს. მიუხედავად იმისა, რომ 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკებმა პოლიტიკური ძალაუფლება დაიპყრეს, რუსი ხალხი მათ არ უსმენდა. ბოლშევიკები განწირულნი ჩანდნენ...

1917 წელს რუსეთში განგებისაგან განსაზღვრული მისიის აღსრულებას იწყებს იოსებ სტალინი. ი. სტალინმა უყოყმანოდ და გადაჭრით აღიარა, რომ რუსეთის სახელმწიფოს ძლიერების აღდგენა დამოკიდებული იყო იმპერიის იდეისადმი დამოკიდებულებაზე. ი. სტალინმა ირწმუნა, რომ რუსეთში იმპერიის იდეის უგულებელყოფა შეუძლებელი იყო და თუ მაინც ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა იმპერიის იდეის უარყოფის გზით წავიდოდა უზარმაზარი **ქვეყანა დაუსრულებელ ქაოსში** გადაიჩეხებოდა. ვ. ლენინმა იმპერიის იდეის უკვდავება ი. სტალინისაგან აიღო და არა პირიქით. სწორედ იოსებ სტალინი უნერგავდა ველიკორუსული სიამაყის გრძნობას ვლადიმერ ლენინს (ულიანოვს), ლევ ტროცკის (ლეიბა ბრონშტეინს), ლევ კამენევს (როზენფელდს), გრიგოლ ზინოვიევს (რადომილსკის) და სხვა ცნობილ ბოლშევიკებს. ვ. ლენინს არ შეიძლებოდა რუსეთი ყვარებოდა ან ველიკორუსული სიამაყის გრძნობა ჰქონოდა. კაცს, რომელმაც უმძიმეს ომში რუს ხალხს მოუწოდა მტრის კი არა, საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ ებრძოლათ, არ შეიძლებოდა რუსეთი ყვარებოდა; კაცს, რომელმაც უცხო ქვეყნის დაზვერვისაგან მიღებული ფულის სანაცვლოდ რუსეთის ომში დამარცხებას შეუწყო ხელი, არ შეიძლებოდა ველიკორუსული სიამაყის გრძნობა ჰქონოდა; კაცი, რომელმაც ხელისუფლების დაკარგვის შიშით გერმანიასთან სამარცხვინო ზავი დადო და უზარმაზარი ტერიტორია დათმო, არ შეიძლებოდა რუსეთის პატრიოტი ყოფილიყო. ეს კაცი გაბოროტებული ავანტიურისტი იყო, რომელსაც რუსეთი ეზიზღებოდა. ვ.ლენინს შეეძლო იაკობინელობით დაეშინებინა რუსეთი: დაეხვრიტა ასი ათასობით ბურჟუა, მემამულე, კულაკი, მღვდელი, ოფიცერი და ნებისმიერი ადამიანი. რუსეთი არ უყვარდათ და ველიკორუსული სიამაყის გრძნობის ნატამალი არ ჰქონდათ ლ. ტროცკის, ლ.კამენევს, გ. ზინოვიევს, ნ. ბუხარინს და სხვებს. რუსეთის მხსნელად იოსებ სტალინი მოევლინა. იგი სხვა ცნობილი ბოლშევიკების მსგავსად რუსი არ ყოფილა, მაგრამ ამ შემთხვევაში მოქმედებდა როგორც რუსი სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ამოძრავებდა ერთადერთი მიზანი — გამოეყვანა რუსეთი „დიდებისა და კეთილდღეობის გზაზე". ანალოგი მხოლოდ პეტრე დიდთან შეიძლება დაიძებნოს, იმ განსხვავებით, რომ პეტრე დიდმა რუსეთის ტახტი მემკვიდრეობით, კანონიერად მიიღო, იოსებ ჯუღაშვილი კი ჯერ რუსეთის ტახტს უნდა დაუფლებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ეხსნა უფსკრულის პირას მისული ქვეყანა.

იოსებ სტალინმა სავსებით სწორად დაასკვნა, რომ სლავური პრიმიტივიზმის დემოკრატიის რანგში აყვანა რუსეთში შეუძლებელი იყო. ეს გამოიწვევდა რუსული თვითმყოფადი სამყაროს ნგრევას, რასაც უაღრესად სავალალო შედეგები მოჰყვებოდა: სლავური პრიმიტივიზმიდან, რუსული თვითმყოფადი სამყაროდან გამოსული მასა უმართავი ხდებოდა და დიდ დამანგრეველ ძალას იძენდა. პირველმა მსოფლიო ომმა [illegible] უზარმაზარი, უმართავი მასის [illegible] შეუწყო ხელი. ეს მასა დემოკრატიულ სახელმწიფოში ვერ იცხოვრებდა. აუცილებელი იყო მისი ძველ რუსულ თვითმყოფად სამყაროში შებრუნება. ამასთან ერთად ამ უზარმაზარ მასას აუცილებლად სჭირდებოდა მეფე-მამისადმი შერყეული რწმენის აღდგენა, უფრო ზუსტად აუცილებელი იყო მეფე-მამის ახალი ტიპის შექმნა. იქნებ იოსებ ჯუღაშვილმა იმ ხანად არც კი იცოდა, რომ განგება მეფე-მამის როლის შესასრულებლად სწორედ იოსებ სტალინს ამზადებდა...

1917-1922 წლებში რუსეთში ახალი, საბჭოთა (კომუნისტური) იმპერიის შექმნა ძირითადად დამთავრდა. იმპერია აღდგა ი. სტალინის მიერ განსაზღვრული სამი პრინციპით: ა) იმპერიის იდეის უკვდავება, ბ) სლავური პრიმიტივიზმის, რუსული თვითმყოფადი სამყაროს ხელშეუხებლობა, გ) მეფე-მამის ახალი ტიპის შექმნის აუცილებლობა.

1917-1921 წლებში მოპოვებული თავისუფლების შემდეგ საქართველო კვლავ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა. ეს არ იყო რესპუბლიკის მთავრობის ან საერთოდ იმ პერიოდის პოლიტიკურ მოღვაწეთა შეცდომების შედეგი. თუ რუსეთში იმპერია კვლავ აღდგებოდა ადრე თუ გვიან საქართველო მისი განუყოფელი ნაწილი უნდა გამხდარიყო. ამიერკავკასიის გარეშე რუსეთის ახალი (საბჭოთა) იმპერია ვერ იარსებებდა, ამიერკავკასიაში განმტკიცებისათვის კი საქართველოს დაპყრობა აუცილებელი იყო. საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ იმპერიის პოლიტიკური ხელმძღვანელობა რაიმე დათმობაზე ვერ წავიდოდა, რადგან რუსეთის იმპერიამ უკვე 1918-1921 წლებში დაკარგა სასიცოცხლო სივრცეები აღმოსავლეთ პოლონეთი (ყოფილი პოლონეთის სამეფო), დასავლეთ უკრაინა, დასავლეთ ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბესარაბია. მათი დაბრუნება უახლოეს ხანებში შეუძლებელი იყო. მეტის დაკარგვა მომაკვდინებელ გავლენას იქონიებდა იმპერიაზე. სწორედ ამიტომ მოვლენები ძალზე სწრაფად განვითარდა. 1801 წლის განხორციელებული დაპყრობის წინ რუსეთის იმპერია საქართველოს „ნელ მოკვდინებას" თითქმის ნახევარი საუკუნე მოუნდა. 1921 წლის დაპყრობის წინ კი — სულ სამი წელი. ორივე დაპყრობა შეინიღბა: პირველს „ნებაყოფლობითი შეერთება" უწოდეს, მეორეს — „საბჭოთა წყობილების დამყარება".

**იყო თუ არა რაიმე შანსი საქართველოს გადარჩენისა 1801 წელს, ან 1921 წელს? არც ერთ შემთხვევაში არავითარი. ორივე დაპყრობა დიდი პოლიტიკის შედეგი იყო, ამ პოლიტიკაზე კი საქართველოს, უფრო მეტიც მთელ ამიერკავკასიასაც არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლო. საქართველო განაჩენს დახურულ კარს მიღმა ელოდა.**

უფრო დაწვრილებით მოვლენები ასე განვითარდა. მას შემდეგ რაც უკრაინის შემოერთების შემდეგ (1654 წ.) რუსეთმა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში თურქეთის პოზიციები შეასუსტა და მერე საბოლოოდ ამოუკვეთა ფესვი აქედან; მას შემდეგ რაც რუსეთმა კონტროლი დააწესა ვრცელ ტერიტორიაზე აზოვისა და ყუბანისპირეთიდან კასპიის ზღვის ჩრდილო სანაპიროებამდე; მას შემდეგ რაც 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების ომში სასტიკად დაამარცხა თურქეთი, ხოლო რუსეთის მეორე კონკურენტი ამიერკავკასიაში — ირანი შინაომებისაგან დასუსტებული სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდა,

გაგრძელება მე 6 გვ.

მეხუთე გვერდიდან

ცხადი იყო, რომ რუსეთის იმპერიის საქართველოსა და ამიერკავკასიაში გაბატონებას წინ არაფერი დაუდგებოდა: ევროპის ქვეყნებს არ შეეძლოთ წინ აღდგომოდნენ რუსეთის შეჭრას ამიერკავკასიაში.. ევროპის დიპლომატიას ის აწუხებდა, რომ შვიდწლიან ომში (1757-1763 წწ.) დიდ წარმატების შემდეგ, რასაც მოჰყვა რუსების მიერ ბერლინის ოკუპაცია (1760 წ.), რუსეთი სულ უფრო იმტკიცებდა პოზიციებს ევროპაში. ამის მაჩვენებელი იყო პოლონეთის სამი დანაწილების (1772 წ., 1793 წ., 1795 წ.) შედეგად რუსეთის მიერ პოლონეთის დიდი ნაწილის (ქ. ვარშავათურთ) მიტაცება. ასეთ ვითარებაში ევროპაში არავის ცხელოდა წინ აღდგომოდა რუსეთის შეჭრას საქართველოში.რუსეთი რომ რეალური ძალა იყო, ამიერკავკასიის დაპყრობაში რომ მას კონკურენციას ვერავინ გაუწევდა ცხადად დადასტურდა 1804-1813 წლების რუსეთ-ირანის, 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის, 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის, 1829—1830 წლების რუსეთ-თურქეთის ომების დროს,როცა რუსეთმა დიდი წარმატებით აღკვეთა თურქეთისა და ირანის ცდები ამიერკავკასიაში რევანშის აღებისა. უფრო მეტიც, რუსეთის იმპერიისათვის სამარცხვინოდ მარცხიან ყირიმის ომშიც (1853-1856 წწ.) კი თურქეთის არმიამ დიდი მარცხი იწვნია ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში (აჭარა-გურია, სამეგრელო).

**ამრიგად, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის დიპლომატიამ კარგად მოამზადა ნიადაგი საქართველოს დასაპყრობად, ხოლო XIX საუკუნის დამდეგს საფუძვლიანად დამკვიდრდა საქართველოში.**

1921 წელს განხორციელებული დაპყრობის წინა ხანებში თითქოს სიტუაცია საქართველოსათვის გაცილებით ხელსაყრელი იყო ვიდრე 1801 წელს. ჯერ ერთი, პირველმა მსოფლიო ომმა დიდი იმპერიები (გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, რუსეთის) დაანგრია და დაპყრობილ ერებს საშუალება მიეცათ დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნისა; მეორე, დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები გარკვეული მიზეზების გამო დაინტერესებულნი იყვნენ საბჭოთა რუსეთის დასუსტებით და ამდენად ხელი უნდა შეეწყოთ მისი დაქუცმაცებისათვის, პატარა ერების განთავისუფლებისათვის, ახალი იმპერიის შექმნის პროცესის შეფერხებისათვის; მესამე, თუ პრაქტიკული არა, მორალური მნიშვნელობა მაინც უნდა ჰქონოდა ერთა ლიგის ცდებს აგრესიისაგან დაეცვა ცალკეული სახელმწიფოები. **მიუხედავად ამისა, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობები ისე განვითარდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გადარჩენა, მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა.** უმთავრესი მიზეზი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობისა 1921 წელს იმაში მდგომარეობდა, რომ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნები (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) საბჭოთა რუსეთის — ახალი რუსული იმპერიის მიმართ საქართველოსთვის საზიანო (დამღუპველ) პოლიტიკურ კურსს დაადგნენ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება საბჭოთა რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის მიზნით ძალების გაერთიანებისა, იმავე დროს უარყოფილი იქნა აზრი იმის შესახებ, რომ მხარი დაეჭირათ რომანოვების ყოფილ იმპერიაში მცხოვრები ერების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის. მსოფლიო დიპლომატიამ ჩათვალა, რომ რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნის პროცესი და ახალი პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბება მტკივნეული, საშიში და რაც მთავარია ხანგრძლივი პროცესი იქნებოდა. მოსალოდნელი იყო დიდი ეთნოკონფლიქტები და ომებიც კი. ეს კი ევროპის ქვეყნებს ხელს შეუშლიდა რუსეთის ნედლეული და ბაზარი დაუყოვნებლივ ჩაერთო ომისაგან დანგრეული ევროპის აღდგენის პროცესში. სწორედ ამიტომ მსოფლიოს დიპლომატიამ საბჭოთა რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლისათვის ბრძოლაში ორიენტაცია აიღო არა ეროვნულ მოძრაობებზე, არამედ რუსეთის ბურჟუაზიაზე, თავადაზნაურობაზე, კულაკობაზე და ა.შ. ასეთმა პოლიტიკურმა კურსმა წინასწარვე გასწირა მრავალი ერის სახელმწიფოებრიობა, თვით საბჭოთა იმპერია კი გადაარჩინა.წინასწარ განწირულ ერებს შორის აღმოჩნდა ქართველი ერი და მისი სახელმწიფოებრიობა. ერთი წუთით დავუშვათ, რომ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებს მიეღწიათ მიზნისათვის და საბჭოთა რუსეთში პოლიტიკური რეჟიმი შეეცვალათ: ამ შემთხვევაში გადარჩებოდა თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა? თუ რუსეთის სახელმწიფო არსებობას გააგრძელებდა როგორც იმპერია, პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის მიუხედავად რუსეთი საქართველოს მაინც დაიპყრობდა — **საქართველო და მთლიანად ამიერკავკასია რუსეთის იმპერიისათვის სასიცოცხლო ხივრცეს წარმოადგენდა, მისი დათმობა რუსეთს არ შეეძლო.** ე.ი. პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა კი არ იყო მთავარი, არამედ **იმპერიის იდეისადმი დამოკიდებულება.** თუ რუსეთი იმპერიად დარჩება იგი მუდმივი საფრთხე იქნებოდა რომანოვების იმპერიისაგან თავდახსნილი ერებისათვის. ასეც მოხდა: 1918 წლიდან დამოუკიდებლობის გზაზე **დამდგარი, ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში ჩართული** ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ისევ შეაბრუნეს საბჭოთა იმპერიაში (1940წ.). იმავ დროს საბჭოთა იმპერიამ პოზიციები აღიდგინა ფინეთსა და დუნაისპირეთში. ცოტა უფრო ადრე კი — დაიბრუნა დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია (1939 წ.). ევროპის ქვეყნების ძალისხმევით მხოლოდ პოლონეთი გადარჩა. მეტი მსოფლიოს დიპლომატიამ ველარ შეძლო.

**ამრიგად, იმპერიის იდეის უარყოფა რუსეთის სახელმწიფოში იწვევს ქაოსს, ანარქიას და ქვეყნის დაკნინებას, ხოლო იმპერიის იდეის ხორცშესხმა აუცილებელს ხდის სხვა ერებისა და ქვეყნების ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის ექსპლოატაციას, სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის გამოყენებას, რასაც ეწირება კიდეც ამ ერებისა და ქვეყნების სახელმწიფოებრიობა.**

რუსეთში იმპერიის იდეის ხორცშესხმის პროცესიდან ვერც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და ვერც 1917-1921 წლებში საქართველოს გამოთიშვა ვერ მოხერხდა. ორივე იმპერიას (რომანოვებისა და საბჭოთა) ეყო ძალები მოესპო საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

რუსეთის ისტორია ვითარდება იმპერიიდან იმპერიამდე...

ორი იმპერიის იძულებითი თანამგზავრები უკვე ვიყავით...

ძალას იკრებს მესამე იმპერია...

ძველი სცენარი, ძველი როლები, შემსრულებლებია მხოლოდ ახალი... თუმცა განგებისაგან რჩეული პიროვნება სახელნიეროდ ჯერ არა ჩანს, „ძმისმკვლელი ბიძის როლში" კი ვერ გამოდგება, ეს არ არის უმნიშვნელო ფაქტორი..

იქნებ გადავრჩეთ კიდეც?!

# ფიქრი და განსჯა

**ბატონ** ვახტანგ გურულის წერილის „იმპერიიდან იმპერიამდე" ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ „რუსეთის სახელმწიფოს არსებობის ერთადერთი ფორმაა იმპერია და „მისი უგულვებელყოფა ყოველთვის ‚ძვირად დაუჯდა რუს ხალხს", რომ „იმპერიის იდეის უარყოფა რუსეთში იწვევს ქაოსს, ანარქიას და სახელმწიფოს დაკნინებას! ამავე დროს გატარებულია ის მოსაზრებაც, რომ რუსეთის იმპერიული იდეის ხორცშესხმა აუცილებელს ხდის სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობის დაკარგვას.

შემდეგ წერილის ავტორი საქართველოს, ბალტიისპირეთის, პოლონეთის, უკრაინის, მოლდავეთის და სხვა ქვეყნების დაპყრობის მაგალითზე ასკვნის, რომ რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა კი არ არის მთავარი იმპერიის მეზობელი ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოს თავისუფლებისათვის, არამედ თვით რუსეთში იმპერიის იდეისადმი დამოკიდებულება.

რა თქმა უნდა, ავტორი ნაწილობრივ მართალია იმ მოსაზრებაში,რომ თვით რუსეთში იმპერიის იდეისადმი დამოკიდებულება ბევრად განსაზღვრავს სხვა ქვეყნების ბედს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას,რომ არა მთლიანად. ამის ნათელი დადასტურებაა ბოლშევიკური რუსეთის აგრესიისაგან 1920 წელს პოლონეთისა და ბალტიისპირელი ხალხების მიერ სახელმწიფოებრივიდამოუკიდებლობის დაცვა. ასევე თავგანწირული ბრძოლით 1939—40 წლებში ფინელმა ხალხმა რუსეთის იმპერიისაგან დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა. უეჭველია, იმპერიის დაშლას და დაპყრობილი ერების თავისუფლების მოპოვებას სჭირდება ხელსაყრელი პოლიტიკური პირობები, მაგრამ თავისუფლების შენარჩუნებას ყოველთვის ახერხებს ის ერი, ვინც აღნიშნულ ისტორიულ მომენტს გამოიყენებს და თავისი სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა და დაცვის საქმეს დიდი შემართებით მიუდგება. არარეალურია, რუსეთმა მოახერხოს საკუთარი დამოუკიდებლობის ენერგიულად დამცველი ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის ყოფილი სატელიტების, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხელმეორედ იმპერიის წიაღში შემობრუნება. აღნიშნული იმპერიული მიზნების აღსრულებას რუსეთი. უკვე ვერც ძალისმიერი და ვერც ეკონომიკური შესაძლებლობებით ვერ გაწვდება. გავიხსენოთ, მარტო ავღანეთის ომმა თითქოსდა თავისი ძლიერების ზენიტში მყოფ რუსეთის კომუნისტურ იმპერიას რა დამანგრეველი ეკონომიკური, მორალური და პოლიტიკური დარტყმა მიაყენა.

ყოველივე ზემოთ, თქმულიდან გამომდინარე, მტკიცება იმისა, რომ საქართველოს 1801 და 1921 წელს რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობისაგან გადარჩენის არანაირი შანსი არ ჰქონდა, მეტად საკამათოა. 1801 წლამდე საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ შესანიშნავი გამოკვლევა აქვს უდიდეს ქართველ ისტორიკოსს ბატონ ივანე ჯავახიშვილს. სხვათა შორის, ეს ნაშრომი კომუნისტების მიერ აკრძალული იყო, სადაც იგი არგუმენტირებულად ამტკიცებს, რომ, ერეკლე მეორის პრორუსული ორიენტაცია რომ არა, საქართველო გადაურჩებოდა მეზობელ მუსულმანურ სახელმწიფოებთან ახალ დაპირისპირებას და 1795 წლის თბილისის აოხრებას, რაც გამოწვეული იყო რუსეთის მრავალჯერადი ღალატით რუს გენერალ ტოტლებენიდან დაწყებული იმპერატორ პავლე I-ის 1801 წლის საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტით დამთავრებული. რაც შეეხება რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ანექსიას, ცნობილია, რომ საქართველოს იმ დროს სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალურ რევოლუციაზე შეოცნებე პოლიტიკოსები მართავდნენ და არც არის გასაკვირი, რომ თავიანთ ოდიოზურ სოციალურ იდეებს ეროვნულ იდეებზე წინ აყენებდნენ. ამიტომაც მოხდა, რომ სამი წლის მმართველობის მანძილზე მათ ვერ შეძლეს ვერც ერთიანი ეროვნული ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა და განსაცდელის ჟამს ვერც ერის მობილიზება და მხოლოდ 9 ათასი კაცის გაყვანა მოახერხეს ბრძოლის ველზე, მაშინ, როცა ოციოდე წლის შემდეგ გერმანელ ფაშისტებთან ომში ნიჭიერად წარმართულმა სახელმწიფო პოლიტიკამ კომუნისტებს საშუალება მისცა 700 ათასამდე ქართველი გაეყვანათ ფრონტის ხაზზე.

რაც შეეხება იმ აზრს, რომ იმპერიის იდეის უარყოფა რუსეთში ქაოსსა და სახელმწიფოს დაკნინებას იწვევს, ესეც საკმაოდ სადაოა. თუ დღევანდელი რუსეთის მდგომარეობას გადავხედავთ, ალბათ უკეთესი იქნებოდა, თუკი რუსეთი საკუთარ ეკონომიკურ პრობლემებს მიაქცევდა მეტ ყურადღებას და არ შესწირავდა ისედაც შემცირებულ მატერიალურ რესურსებს თავისი იმპერიული გეოსტრატეგიული ინტერესების დაცვას, რაც გამოიხატება ტაჯიკეთის 1200 კმ-იანი სახმელეთო საზღვრის დაცვაში ტაჯიკი მუჯაჰედინებისაგან, მოლდავეთის ტერიტორიული მთლიანობის დამრღვევი რუსი სეპარატისტების მხარდაჭერაში, აფხაზი სეპარატისტების თავგამოდებულ თანადგომაში, აზერბაიჯან-სომხეთის ომში აქტიურ მონაწილეობაში, აგრესიული სერბეთის დახმარების გამო დემოკრატიულ დასავლეთთან დაპირისპირებაში, ბელორუსიის რუსეთთან ინტეგრაციის მიზნით მისი ეკონომიკისათვის სისხლის გადასხმაში და სხვა მრავალ ნაბიჯში, რაც მის იმპერიულ მადას აკმაყოფილებს, მაგრამ ძირს უთხრის და ასუსტებს რუსეთის ეკონომიკას, რაც საერთოდ სახელმწიფოებრიობის საფუძველია.

იმაში კი ვეთანხმები წერილის ავტორს, რომ „სლავური პრივილეგიზმის" თუ განსაკუთრებული იმპერიული ფსიქოლოგიის გამო რუსი ერი თავიდან ვერ იშორებს იმპერიულ იდეას, რაც მასვე არ უქადის სიკეთეს.

გია თვალავაძე

## 21 დეკემბერი გორში

21 დეკემბერს გორში მანიფესტაციით აღინიშნა ი.ბ.სტალინის დაბადების დღე. მანიფესტაციაში სამწუხაროდ ახალგაზრდებიც არცთუ მცირე რაოდენობით მონაწილეობდნენ.

იმავე საღამოს სტალინისტებმა გაშალეს საზეიმო სუფრები. ეს დღე გორის კომუნისტებმა და სტალინისტებმა გაერთიანებული ძალებით აღნიშნეს.

## »სწორუპოვარი« ქართველი

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს სტალინის დაბადებიდან 115 წელი შესრულდა. გარკვეული ძალები საქართველოში, სხვას რომ თავი დავანებოთ, მისი უკიდურესად ანტიქართული ქმედებების დავიწყებას ცდილობენ და სურთ სტალინი წარმოადგინონ განსაკუთრებულ ქართველად. ამნაირი ჭკუის ადამიანებისათვის, შეიძლება ითქვას, არაფერი მნიშვნელობა არა აქვს შეგონებას, ფაქტს, საბუთს. ამის მიუხედავად რედაქცია მიზანშეწონილად თვლის მკითხველის სამსჯავროზე კიდევ ერთხელ გამოიტანოს მშობელი ქვეყნისადმი სტალინის დიდი „ზრუნვის“ დამადასტურებელი ერთი დოკუმენტი:

1920 წლის 6 მაისს ს.ორჯონიკიძესთან სტალინის სატელეფონო საუბრიდან:

„შენ, უკვე მიღებული უნდა გქონდეს წერილი ლენინის ხელმოწერით. ცკ-ი გავალებთ მიიღოთ ყველა ზომა რუსეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებიდან ნაწილების გასაყვანად და უარი თქვან საქართველოს წინაღმდეგ რაიმე შეტევითი ოპერაციისაგან. მე მოვედი აპარატთან, რათა გაგიმეოროთ ცკ-ის მოთხოვნა.

მიიღე მხედველობაში, რომ საერთაშორისო მასშტაბით დღევანდელი მდგომარეობითაა ეს მოთხოვნა ნაკარნახევი. გარდა ამისა, პოლიტბიუროს აინტერესებს აჯანყებულების მდგომარეობა (იგულისხმებიან ოსი სეპარატისტები — რედ.) და მათ შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები. ურატაძეს ჰქონდა მოლაპარაკება გეგეჭკორთან, რომელმაც მას დაუდასტურა მანდატი და მისცა ხელშეკრულების დადების უფლება. ხელშეკრულება შეიცავს საბჭოთა რუსეთის ყველა მოთხოვნას ქართველი კომუნისტების ლეგალიზაციის ჩავთლით. ზოგიერთ, ჩვენ და აგრეთვე აზერბაიჯანის ნაწილებს რომ არ აერიათ კარტები და ხელი არ შეეშალათ ჩვენი პოლიტიკის გატარებაში, ხელშეკრულება უკვე მოწერილი იქნებოდა. პოლიტბიუროს დავალებით სტალინი.

სტალინი — ორჯონიკიძეს: აპარატთან ჩემი და ენუქიძის გარდა, სხვა არავინაა. ნუთუ შეგიძლია ივარაუდო, რომ შენთან ლაპარაკისას აქ დავუშვებდი ურატაძის ყოფნას. გრცხვენოდეს!

... რასაც შენ საქართველოს მთავრობაზე ამბობ, აბსოლუტურად მართალია, მაგრამ მდგომარეობა ისეთია, რომ ახლა საქართველოს გასაბჭოების მიზნით აჩქარება არ შეგვიძლია. სულერთია, რამდენიმე თვის შემდეგ, თუკი კომუნისტები ლეგალიზებულნი იქნებიან, საქართველო ისეც გახდება საბჭოთა, სხვა გზა მისთვის არ არსებობს“ (კრებულიდან — „ოსთა საკითხი“, თბ., 1994, გვ. 258, რუსულად).

## რუსეთის დაშლა უბედურებაა თუ ბედნიერება?

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ჩეჩნეთის ამბებთან დაკავშირებით ბრძანა, ეს რუსეთის საშინაო საქმე და სუვერენული უფლებაა, ყველა მეთოდით დაიცვას თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ჩეჩნეთის შენარჩუნება თუ ვერ მოახერხა, ეს დიდი რუსეთის სახელმწიფოს დაშლას ნიშნავს და ღმერთმა დაიფაროს რუსეთი დაიშალოს, ეს დიდ უბედურებას მოიტანსო.

-ბატონ ედუარდის ზემოთ ნათქვამ სიტყვებთან დაკავშირებითაც ისმება ერთი ეჭვნარევი კითხვა — რუსეთის დასუსტება და დაშლა, იმ რუსეთისა, რომელმაც აგერ თვალდახელშუა მოგვტაცა აფხაზეთი და სამაჩაბლო, ათიათასობით ქართველი გაუგონარი სისასტიკით სიკვდილისათვის გაიმეტა და ახლა ჩვენი სახელმწიფოებრიობის მთლიანად წართმევისათვის ილწვის, რატომ უნდა იყოს ჩვენთვის საფრთხე და უბედურება და არა პირიქით, ჩვენს ინტერესებში?



ჩეჩნეთი. 1994 წლის დეკემბერი

გასაგებია, რომ ქვეყნის მეთაური საერთაშორისო სამართლის ნორმების დამცველი უნდა იყოს, მაგრამ ის, რაც მისი ქვეყნის ინტერესებში შედის, ამის წინააღმდეგ, ყოველ შემთხვევაში, აშკარად არ უნდა გამოდიოდეს, მხედველობაში მაქვს შევარდნაძის ამავე გამოსვლიდან ის სიტყვებიც, სადაც იგი მოუწოდებს სახელმწიფოს სტრუქტურებს, რომ ფრთხილად იყვნენ საქართველოს ტერიტორიის ჩეჩნეთში იარაღისა და მებრძოლთა ჯგუფების გადაყვანისათვის ტრანზიტად გამოყენების შემთხვევაში. გასაგებია, რომ აშკარად ჩეჩენი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მხარდაჭერა პოლიტიკურად სარისკო და შესაძლოა წამგებიანი ნაბიჯი იყოს, მაგრამ ასევე აშკარად ხელი შეუშალოთ ამ გმირი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას, არა მგონია ზნეობრივად და თუნდაც პოლიტიკურად გამართლებული იყოს, მითუმეტეს, რომ მოხალისეთა დიდი ნაკადი ჩეჩენი ხალხის დასახმარებლად ყოფილი სსრკ-ს თითქმის ყველა რესპუბლიკიდან მიედინება ჩეჩნეთში, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთის დასუსტება მათი თავისუფლების გარანტიაა.

როგორც მახსოვს, აფხაზებისადმი რუსეთის ტერიტორიიდან დახმარების გამო რუსეთის ხელისუფლებისადმი ჩვენი ხელისუფლების მხრიდან საპროტესტო გამოსვლას, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი მოჰყვა, რომელშიც ხაზგასმული იყო შემდეგი თავის მართლება, რომ აღნიშნულ ფაქტებს შესაძლოა ადგილი აქვს, მაგრამ ეს ჩვენი ხელშეწყობით არ კეთდება, უბრალოდ, ჩვენს ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებს ზოგჯერ ვერ ვაკონტროლებთო. აქედან გამომდინარე, თუ კი რუსეთი ჩეჩნეთისადმი მხარდაჭერაში დაგვადანაშაულებდა, ანალოგიური პასუხის გაცემა არ უნდა გაგვჭირვებოდა, თანაც მივუთითებდით, თქვენც ხომ ეგ სენი გჭირდათ აფხაზეთის ომში — თქო. ახლა რა გამოვიდა? სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლებში საქართველოს ხელისუფლება აშკარად უჭერს მხარს რუსეთს ჩეჩნეთის დაჩოქების საქმეში, მაშინ, როცა ჩვენი უშუალო მეზობლების, კავკასიელი ხალხების სიმპატიები და მხარდაჭერა ჩეჩენი ხალხის მხარესაა. რუსეთის იმპერია ღმერთის შემწეობით და ისტორიული კანონზომიერებით შესაძლოა ისე დასუსტდეს, რომ კავკასიიდან ფეხი სრულიად ამოიკვეთოს და ჩვენ, ქართველებს ამ ხელისუფლების წყალობით რა ურთიერთობა დაგვრჩება მემკვიდრეობად ჩვენი კარის მეზობლებთან — კავკასიელ ხალხებთან?

P.S. ცნობილი გახდა, რომ ესტონეთისა და ლატვიის პარლამენტებმა რუსეთის მოქმედება ჩეჩნეთის მიმართ შეაფასეს, როგორც აგრესია.

გია თვალავაძე

## ჩვენს პოლიტიკურ ცეკვა - თამაშში

### ქე შემოსულან რუსები ისევ დედაქალაქში...

17 სექტემბერს საინფორმაციო პროგრამა „მაცნეს“ კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის პირს ბატონ ბორის პიანკოვს და საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ვარდიკო ნადიბაიძეს. ბატონი ვარდიკო და რუსი სამხედრო ჩინოვნიკი ისე შეხმატკბილებული უკრავდნენ კვერს ერთმანეთს, რომ უცხო თვალს ერთი ქვეყნის სამხედრო თანამდებობის პირისა და მისი ხელქვეითის ურთიერთობის შთაბეჭდილებას დაუტოვებდა, ოღონდ თანამდებობის პირის როლი უფრო რუს გენერალს შეეფერებოდა, ხოლო ხელქვეითისა მის ქართველ კოლეგას.

საუბრის მთავარი თემა იყო აფხაზეთში ამ ცოტა ხნის წინათ გამოცხადებული მობილიზაცია საქართველოს შეიარაღებული ძალების მოსალოდნელი თავდასხმისაგან თავდასაცავად.

ბორის პიანკოვმა აღნიშნა, რომ არძინბას ეს განცხადება საფუძველს არის მოკლებული, საქართველო აფხაზეთის წინააღმდეგ აგრესიას არ აპირებსო. თუ მათ ეს არ სჯერათ შემიძლია მათ მოვაწყობინო თბილისამდეც კი შემოწმება და დარწმუნდებიან, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია, რაც აუცილებელია აგრესიისთვის, არსად იგრძნობაო. რუს გენერალს ყველაფერში ეთანხმებოდა ჩვენი თავდაცვის მინისტრი —რა პანიკას თესავენ აფხაზები, არავითარ აგრესიას არ ვაპირებთ, ჩვენ მშვიდობიანი პოლიტიკური დარეგულირების მომხრე ვართო.

ის, რომ რუსი სამხედროები საქართველოს ტერიტორიას ლამის აბაშამდე აკონტროლებენ, უცნობი არ იყო, მაგრამ მათ თუ თბილისამდე შეეძლოთ ქართველთა მყლეტელი აფხაზი სეპარატისტების გამოსეირნება, ეს კი ნამდვილად არ ვიცოდი. ერთი ქართული ფილმის პერსონაჟის გამონათქვამისა არ იყოს — ჩვენს პოლიტიკურ ცეკვა-თამაშში ქე შემოსულან რუსები ისევ დედაქალაქში...

ამ პოლიტიკურ აბსურდში, რაც ჩვენს ქვეყანაში ამჟამად ხდება, ყველაფერს აიტანს ქართველი კაცი, მაგრამ აგრესია უწოდო ქართული ჯარის თუნდაც თავდასხმას აფხაზ სეპარატისტებზე, ეს უკვე მეტისმეტია. არა მგონია, რაც უნდა მოკლე ჭკუის სალდაფონი იყოს, რუსმა გენერალმა არ იცოდეს ტერმინ „აგრესიის“ არსი, მითუმეტეს,რომ ამის ცოდნა მის კომპეტენციაში შედის. რუსეთის გამომცემლობა „პოლიტიზდატში“ დაბეჭდილ „მოკლე პოლიტიკურ ლექსიკონში“ განმარტებულია,რომ ლათ. „აგრესია“ — თავდასხმა. გაეროს წესდების მიხედვით ნიშნავს ნებისმიერი ძალის არაკანონიერ გამოყენებას ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. საქართველოსა და აფხაზური სეპარატიზმის ურთიერთობის შეფასებისას ამ ტერმინის გამოყენებას თუ ეთანხმება საქართველოს თავდაცვის მინისტრი, მაშინ ის მართლაც რუსეთის გენერლად დარჩენილა, რაშიც ბრალს დებენ კიდეც ზოგიერთები. იმედია, რომ ბატონი ვარდიკო ყურადღების გაფანტვის გამო შეცდა, მაგრამ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ალბათ უფრო დაკვირვებით იქნება და საქართველოს ინტერესების შელახვას თუნდაც მის ძველ მეგობარ რუს გენერალსაც აღარ აპატიებს.

ჩვენი სპეც.
კომენტატორი

# თამაში გაურკვეველი შედეგით

პირველი გვერდიდან

ამ განცხადებამ პარლამენტში ემოციათა ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია. დეპუტატები ვერ მალავდნენ თავის აღშფოთებას იმის გამო, რომ მათ მიერვე მაღალ თანამდებობებზე დამტკიცებულმა პირებმა არაფრად ჩააგდეს პარლამენტის გადაწყვეტილება სპეციალური დახურული სხდომის ჩატარების შესახებ, იუკადრისეს პარლამენტში გამოცხადება და პირობაც კი წაუყენეს პარლამენტარებს, რომ მხოლოდ წერილობით შეკითხვებს გასცემდნენ პასუხს. მაგრამ იქნებ კიდევ უფრო აღმაშფოთებელი იყო თვით დოკუმენტის გარეგნული ფორმა. ჟურნალისტებს საშუალება მოგვეცა გვენახა ძალოვან უწყებათა ხელმძვანელების კოლექტიური შრომის ეს ნაყოფი. წარმოიდგინეთ დაჭმუჭნული ფურცელი ნაბეჭდი ტექსტით, ალაგ-ალაგ მელნით გადაშლილი სტყვებით და, რაც მთავარია, ხელმოწერებისა და თარიღის გარეშე! სწორედ ამიტომ მოვათავსეთ ზემოთ სიტყვა დოკუმენტი ბრჭყალებში, ვინაიდან მსგავს შედევრს ყველაფერი შეიძლება უწოდოს კაცმა დოკუმენტის გარდა. და ამ ფურცლის საფუძველზე ჩაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტის სხდომა...

ვითარებას სხვა ქვეტექსტიც ჰქონდა. ძალოვან სტრუქტურათა ხელმძვანელთა არაჩვეულებრივი ერთსულოვნება, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა პარლამენტარებს ძალზე კარგად ახსოვდათ სულ რამდენიმე დღის წინანდელი მოთხოვნა იგორ გიორგაძისა სწორედაც, რომ დახურული სხდომის ჩატარების აუცილებლობის შესახებ, რათა დეპუტატებს ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ ყველა საკითხზე, გაოცებას იწვევდა. მით უმეტეს, რომ როცა პარლამენტს ულტიმატუმის ენით ძალოვანი სამინისტროები ელაპარაკებიან, ეს, ცოტა არ იყოს, სხვანაირ ელფერს ღებულობს.

ვნებათაღელვა არ დაცხრა მას შემდეგაც, რაც პარლამენტს ამცნეს განსაკუთრებული მნიშვნელობის თათბირის შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა სახელმწიფოს მეთაურის მიერ საზღვრების დაცვის გაძლიერებასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების გამო. პირიქით, დეპუტატებმა სამართლიანად ჩათვალეს, რომ საქართველოს ჩრდილო საზღვარზე მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მათ ამომწურავი ინფორმაცია ჰირდებათ და დახურული სხდომა ამის საუკეთესო შესაძლებლობას იძლეოდა. დარბაზი ბობოქრობდა და სპიკერს ნერვებმა უმტყუნა. ბ-ნმა გოგუაძემ განაცხადა, რომ გადამდგარია სპიკერის თანამდებობიდან და დარბაზის დატოვებაც სცადა. აქ კი უკვე სხვა დეპუტატები წამოიშალნენ და მცდელობა არ დააკლეს, რათა სპიკერს უკან წაეღო თავისი სიტყვები და დაბრუნებოდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას.

ალყაში მოქცეული სპიკერი დიდხანს ჯიუტობდა, შემდეგ ერთხანს დაიკავა კიდეც ადგილი პრეზიდიუმში, ოღონდ არა სხდომის თავმჯდომარის სკამი, მაგრამ როცა ალყა მოიხსნა და დეპუტატებმაც დარბაზის რიგები შეავსეს, მაინც იხელთა დრო და გაუჩინარდა.

სპიკერის მოადგილემ — რუსუდან ბერიძემ — სცადა სხდომის გაგრძელება, მაგრამ დაუძლეველი წინააღდეგობის წინაშე აღმოჩნდა. რეგლამენიტის მიხედვით სპიკერის გადადგომის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს ერთ-ერთი ვიცე-სპიკერი, ოღონდ პარლამენტის თავმჯდომარისა ან კოლეგიის დავალებით. ასეთი დავალება, ცხადია, არც ბერიძეს და არც რჩეულიშვილს იმ მომენტისთვის მიღებული არ ჰქონიათ და პარტამენტიც ჩიხში მოექცა.

რესპუბლიკელებმა შესთავაზეს კოლეგებს დარბაზიდან გაუსვლელად მიეღოთ დადგენილება საშემოდგომო სესიის გაგრძელების თაობაზე, ვინაიდან პარასკევი, იმავე რეგლამენტის მიხედვით, უკანასკნელი სამუშაო დღე იყო ზამთრის არდადეგებამდე და ჰაერში გამოკიდული რჩებოდა არა მხოლოდ სეპიკერის საკითხი, არამედ 1995 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიც, აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის პროექტიც და კიდევ მრავალი დადგენილება თუ კანონპროექტი, რომელიც საშემოდგომო სესიის კალენდარულ გეგმაში იყო, მაგრამ რომელთა განხილვა ვერ მოხერხდა. დარბაზიც თითქოს განწყობილი ჩანდა მხარი დაეჭირა რესპუბლიკელთა სავსებით გამართლებული წინადადებისთვის, მაგრამ....

ბ-ნმა რჩეულიშვილმა მოთიხოვა შესვენების გამოცხადება და გაიყოლია დარბაზიდან უმრავლესობის ნაწილი . სხდომა შეწყდა.

## შესვენება

იგი ხანგრძლივზე ხანგრძლივი გამოდგა და სხდომის გაგრძელება გადაიდო ჯერ 1 საათამდე, შემდეგ 2-მდე, შემდეგ 4-მდე და საბოლოოდ განახლდა ექვსის ნახევარზე. სამაგიეროდ სწორედ შესვენებამ მისცა ჟურნალისტებს შესაძლებლობა დეპუტატებთან საუბრისა და ინფორმაციის მიღებისა, რაც დაედო საფუძვლად რეპორტაჟს, რომელსაც თქვენ ახლა კითხულობთ. ჯერ იყო და გადაწყდა, რომ შეკრებილიყო კოლეგია და დაევალებინა ერთ-ერთი ვიცე-სპიკერისათვის სხდომის თავმჯდომარეობა. ეს ლოგიკური ვარიანტი რაღაც მექანიზმებით ჩაშლილ იქნა და ზოგმა დეპუტატმა ამის უმთავრეს მიზეზად მიიჩნია შენობაში მყოფ კოლეგიის წევრთა შორის ძალთა ისეთი განაწილება, რომელიც ამ ფუნქციას უფრო რუსუდან ბერიძეს დააკისრებდა, ვიდრე ვახტანგ რჩეულიშვილს. რაც ამ უკანასკნელისთვის მიუღებელი იყო. შესაძლებელია სხდომა ვერ იწყებოდა იმიტომაც, რომ ცნობილი არ იყო სახელმწიფოს მეთაურის პირადი პოზიცია, ეს კი მიუღებელი იყო საპარლამენტო უმრავლესობისთვის. ბოლოს გადაწყდა დეპუტატები შეკრებილიყვნენ 4 საათისთვის, რა დროისთვისაც მოსალოდნელი იყო ედუარდ შევარდნაძის გამოჩენა.

შევარდნაძე 4 საათზე არ გამოჩენილა, სამაგიეროდ პარლამენტს დაუბრუნდა სპიკერი, რომელმაც მანამდე წყნეთს შეაფარა თავი, მაგრამ ეს თავშესაფარი მისთვის საიმედო არ აღმოჩენილა. დეპუტატთა ჯგუფმა მიაგნო მას და მოახდინა მისი ესკორტირება უკან, პარლამენტში. ბ-ნი გოგუაძე უმალვე მოექცა ჟურნალისტთა ალყაში და მიიპყრო მათი ჯერ არნახული ყურადღება. მან დაადასტურა თავისი გადადგომა სპიკერის თანამდებობიდან, რაც ჩვენმა კოლეგებმა უმალვე აცნობეს გარესამყაროს. იმავე საღამოს შესაბამისი ინფორმაცია გადაიცა რუსეთისა და უფრო შორეული საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებით.

დრო კი გადიოდა. ახლოვდებოდა 18 საათი — პარლამენტის სხდომების დასრულების დრო და დეპუტატები ავტომატურად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ — იწყებოდა საპარლამენტო არდადეგები.

## მეორე ტაიმი

ექვსის ნახევარზე გამოჩნდა პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური. პარლამენტარებმა უმალ დაიკავეს თავიანთი ადგილები დარბაზში. თავისი ძველი — სპიკერობის პერიოდამდელი ადგილი რიგით დეპუტატებს შორის დაიკავა ვახტანგ გოგუაძემაც. 17 სთ-ზე და 40 წთ-ზე ჩატარებულმა რეგისტრაციამ აჩვენა დეპუტატთა უჩვეულოდ მაღალი დასწრება — 174 კაცი. ამჯერად ეს რიცხვი რეალობას ასახავდა.

დეპუტატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სხდომის გაგრძელებას და არაერთსულოვნად — 103 მხარდამჭერი, 68 წინააღმდეგი — სხომის დახურვას. ჟურნალისტები ისევ დარბაზს მიღმა აღმოჩვნდით. თუმცა, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა დარბაზში, მაინც ჟონავდა.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სახელმწიფოს მეთაური — ედუარდ შევარდნაძე. თუ რა თქვა მან კონკრეტულად, ეს, ცხადია, ჩვენთვის უცნობია. ზოგი დეპუტატი ამბობდა, რომ ახალი არსებითად არაფერი თქმულა. სხვები — პირიქით, მიიჩნევდნენ, რომ ისიც არ უნდა ეთქვა, რაც თქვა. ეს რაც შეეხება საზღვრების გამაგრებასა და ჩეჩნეთში და მთლიანად ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პროცესებს. უფრო დეტალური ინფორმაცრია მივიღეთ სპიკერიადასთან დაკავშირებულ საკითხზე. შევარდნაძეს მაღალი შეფასება მიუცია ვახტანგ გოგუაძის საქმიანობისთვის ამ თანამდებობაზე და მოუწოდა მას დაბრუნებოდა თავის სკამს და მოვალეობების შესრულებას. დეპუტატთა თვალსაზრისი ამის თაობაზე არ იყო ერთმნიშვნელოვანი. გაირკვა ისიც, რომ გოგუაძე, შევარდნაძის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად მაინც გადაჯდა დარბაზიდან პრეზიდიუმში, მაგრამ თავისი საბოლოო სიტყვა მაინც არ თქვა. ამდენად, გვყავს ჩვენ დღე, გადამდგარი სპიკერი, თუ უბრალოდ გადამჯდარი, კაცმა არ იცის. შესაძლოა, თვით ბატონმა ვახტანგმაც.

რესპუბლიკელთა წინადადება საშემოდგომო სესიის გაგრძელების თაობაზე კენჭისყრისას არ გავიდა. შევარდნაძემ სამშაბათისთვის დანიშნა საგანგებო სხდომა, რომელმაც უნდა განიხილოს მომავალი წლის ბიუჯეტი და კენჭი უყაროს მას, აგრეთვე მიიღოს გადაწყვეტილება მუშაობის გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებულ პერიპეტიებში, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, განსაკუთრებით აქტიური როლი ითამაშა ვახტანგ რჩეულიშვილმა, რომელმაც ცდა არ დააკლო, რათა რესპუბლიკელთა წინადადება ბლოკირებული ყოფილიყო. მან საკმაოდ ხანგრძლივი შესვენებაც კი მოაწყო კენჭისყრის წინ (თუმცა რეგლამენტით ნებადართულია ხანმოკლე შესვენება ფრაქციის მოთხოვნით), რათა უზრუნველეყო უმრავლესობის ერთსულოვნება. და, თუმცა, საწადელს მიაღწია, კენჭისყრის შედეგებით განსაკუთრებული კმაყოფილების გამოხატვა არ გვგონია შეეძლოს — რესპუბლიკელთა წინადადებამ მიიღო 105 ხმა, წინააღმდეგი იყო 55. მხარდამჭერთა შორის იყვნენ არა მხოლოდ ედპ, ტრადიციონალისტები, ი.ჭავჭავაძის და მ.კოსტავას საზოგადოებები და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, არამედ უმრავლესობის მნიშვნელოვანი ნაწილიც.

ასეა თუ ისე, საშემოდგომო სესია პარასკევს დასრულდა. სამშაბათს გაიმართება საგენგებო სხდომა, მაგრამ არ არის გამორიცხული (ხოლო კონფიდენციალური ინფორმაციის მიხედვით სავარაუდოც კია), რომ პარლამენტი რეგლამენტით გათვალისწინებული თებერვლის პირველ სამშაბათამდე უფრო ადრე შეიკრიბოს.

## თამაშის შემდეგ

23 დეკემბრის სანახევროდ ჩაშლილმა და ნახევრადდახურულმა სხდომამ მრავალი უპასუხო კითხვა დასვა. მათ თაობაზე ბევრი მითქმა-მოთქმა იყო პარლამენტის ფოიეში და ჩვენც ამ კითხვებს გვერდს ვერ ავუვლით.

1. რას ნიშნავს ძალოვან უწყებათა ხელმძღვანელების ესოდენ შეხმატკბილებული დემარში? არის ეს პარლამენტზე ძალისმიერი ზეწოლის მცდელობა, თუ უბრალო უპატივცემულობაა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიმართ?

2. იყო კი სინამდვილეში ის „დოკუმენტი", რომელიც პარლამენტს წარუდგინეს? თუ იყო, მაშ რატომ არ არის ის ხელმოწერილი? თუ არა — ვის დასჭირდა მისი შეთითხვნა?

3. როგორ და რატომ დაუშვა პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტის აბუჩად აგდება? ხომ არ არის ეს მორიგი რგოლი პარლამენტის სრულ ბუტაფორიად გადაქცევის იმ ჯაჭვში, რომელიც დაიწყო გასული წლის 14 სექტემბერს და გაგრძელდა პარლამენტში ზეიკიძის დაუსჯელი შეჭრით?

4. რატომ გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ ვახტანგ გოგუაძემ? ნუთუ ორ წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში იგი უფრო რთული ვითარების წინაშე არ დამდგარა პარლამენტში, ვიდრე 23 დეკემბერს? ხომ არ ფლობს იგი რაიმე ისეთ ინფორმაციას, რომელსაც ვერ უმხელს კოლეგა-პარლამენტარებს, მაგრამ რომელიც არ აძლევს მას შესაძლებლობას თანადმებობაზე დარჩენისა?

5. რატომ არის ვახტანგ რჩეულიშვილი (და, ე.ი. ედუარდ შევარდნაძეც) ესოდენ წინააღმდეგი საშემოდგომო სესიის გაგრძელებისა, მით უმეტეს, რომ მისივე განცხადების თანახმად პარლამენტმა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მიიღო იმ კანონებისა, რომლებიც საშემოდგომო სესიის დღის წესრიგში იყო?

6. თუ არის რაიმე ტენდენციის მიმანიშნებელი ხმების განაწილება რესპუბლიკელთა მიერ შეთავაზებული დადგენილების პროექტზე კენჭისყრისას, როცა უმრავლესობა აშკარა უმცირესობაში დარჩა?

სხვა კითხვებიც არის. პასუხებსაც ამა თუ იმ ფორმით აუცილებლად მივიღებთ.

„საქართველოს" საპარლამენტო
კორესპონდენტები

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელეფონები:

რედაქტორი:
93-20-36,
რედაქტორის მოადგილე:
93-18-41
პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.12.94.წ

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 700 რუბლის
შესაბამისი კურსით კუპონებში